ახალი განათლება

24 დეკემბერი

ფასი 1 ლარი 50 თეთრი

№40 (714) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა წინასაახალწლოდ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებს და მათ პედაგოგებს უმასპინძლა. მოწვეულ სტუმრებს თამარ სანიკიძემ უსინათლო და სმენის არმქონე მოსწავლეებისთვის დაბეჭდილი ახალი საგანმანათლებლო რესურსები წარუდგინა და მოკლედ ისაუბრა იმ პროექტებზე, რომელიც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის ხორციელდება.

შპს უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯია

აცხადებს კონკურსს აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად

შპს უმაღლეს სასწავლებელ ჯორჯიაში ცხადდება კონკურსი ბიზნესის ადმინისტრირებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტებზე პროფესორის და ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად.

კონკურსი ტარდება სწავლების პირველ საფეხურზე (საბაკალავრო პროგრამები).

კონკურსი ცხადდება შემდეგ აკადემიურ თანამდებობებზე:

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა

პროფესორი 2 (ორი) ადგილი; ასოცირებული პროფესორი 8 (რვა) ადგილი;

ინგლისური ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამა

პროფესორი 2 (ორი) ადგილი; ასოცირებული პროფესორი 3 (სამი) ადგილი.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

1. განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე (დამტკიცებული ფორმით);
2. კონკურსანტის ანკეტა (დამტკიცებული ფორმით);
3. შესაბამისი აკადემიური (უმაღლესი) ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი;
4. სამეცნიერო-პედაგოგიური გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი (დოკუმენტები);
5. სალექციო კურსის (კურსების) ჩამონათვალი – სილაბუსით (სილაბუსებით);
6. 2 ფოტოსურათი 3x4, ელექტრონული – CD დისკზე;
7. პირადობის მოწმობის ასლი.

❖ პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად აუცილებელია, მინიმუმ, **6 წლის** სამეცნიერო-პედაგოგიური გამოცდილება.

❖ ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად საჭიროა, მინიმუმ, **3 წლის** სამეცნიერო-პედაგოგიური გამოცდილება.

❖ კონკურსში გამარჯვებული კანდიდატების შრომის ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება ურთიერთშეთანხმებით.

❖ პროფესორი და ასოცირებული პროფესორი აირჩევა **6 წლის** ვადით.

კონკურსი ცხადდება 2015 წლის 24 დეკემბერს.

საბუთების მიღება იწარმოებს შპს უმაღლეს სასწავლებელ ჯორჯიაში

2016 წლის 8 თებერვლიდან 20 თებერვლის ჩათვლით,

მისამართზე: ქ. თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას ქ. 4, მე-3 სართული. ტელ.: 2 36-91-60.

კონკურსის შედეგები გამოცხადდება 2016 წლის 26 თებერვალს.

დაწვრილებითი ინფორმაცია იხილეთ უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯიას ოფიციალურ ვებგვერდზე: www.usgeorgia.edu.ge

ინფორმაცია

ლეონარდო და ვინჩი – 2015

თბილისის საკონცერტო დარბაზში მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსის „ლეონარდო და ვინჩი“ საკონკურსო ნამუშევრების გამოფენა და დაჯილდოების ცერემონია გაიმართა.

საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით, გრან-პრი გადაეცა **გიორგი მარგიანს**, **ბექა მიქაძეს** და **ვახტანგ კონტრიძეს** გამოგონებისთვის – ფუჭი ელექტრომაგნიტური ენერგიის ნაკადის „ჰარვესტერ-რეციკლერი“, ხუთი – ერთში. გამარჯვებულები, შემეცნებითი ტურით, საზღვარგარეთ გაემგზავრებიან. I ადგილისა და 5 000 ლარის მფლობელები გახდნენ: **ეკატერინე დადიანი**, **ცოტნე დადიანი** და **ნიკო გიორგაძე** პროექტით „პეპლის ეფექტი“, ორმაგი პოტენციალური ორმოს მახასიათებლიანი ბი-სტაბილური ულტრამსუბუქი კარბონის კინემური წყვილის დამზადება და ბიფურკაციული თვისების გამოკვლევა; II ადგილი და 3 000 ლარი – **ალექსანდრე ხოხიაშვილი**, **დიმიტრი კორკოტაშვილი** და **გიორგი ლომჯარია** პროექტით – ტრანზისტორიდან პროცესორამდე; III ადგილი და 2 000 ლარი ერგოთ **გიორგი შელეგიასა** და **ამირან აფციაურს** პროექტით „ელექტრო გენერატორი Follow me“.

კონკურსის გამარჯვებული ოთხივე პროექტის ავტორები, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ინტელის ფონდის დაფინანსებით, გაზაფხულზე, ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრებიან, სადაც მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიოში უდიდესი კონკურსის – ინტელის საერთაშორისო-საინჟინრო გამოფენაში – Intel ISEF. ფავორიტი პროექტი გამოავლინა საქპატენტმა, საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილემ, **სოფო მუჯირმა** პერსონალური კომპიუტერი გადასცა გამარჯვებულებს. შოთა რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა და ინოვაციური განათლების ფონდმა კონკურსის ყველა მონაწილეს საჩუქრები და დიპლომები გადასცეს. ასევე, გამოფენის ყველაზე პატარა მონაწილეებს საჩუქრები გადასცეს მთაწმინდის პარკისა და ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის წარმომადგენლებმა.

კონკურსი უფროსკლასელთათვის

„ზღაპრები და ლეგენდები ბებიას სკივრიდან“ გახდი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ქომაგი!

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ საფუძველი ჩაუყარა უფროსკლასელთა კონკურსს სახელწოდებით **„არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ქომაგი“.** წელს კონკურსი მეოთხედ იღებს სტარტს. თავად მიმართულების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ ყოველწლიურად იცვლება კონკურსის თემატიკა. პირველად, 2012 წელს, კონკურსი ზოგად, გაცნობით ხასიათს ატარებდა. მომდევნო ორი წლის განმავლობაში კონკურსმა კონკრეტული ამოცანები დაისახა თემებით: **„ტრადიციული ხელსაქმე და ხელოსნობა“** და **„გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების ტრადიციები საქართველოში“.**

წელს საქართველოს საჯარო და კერძო სკოლების უფროსკლასელებს ვთავაზობთ კონკურსს თემაზე **„ზღაპრები და ლეგენდები ბებიას სკივრიდან“.**

კონკურსის მიზანია:

❖ გამოავლინოს უხუცესების მეხსიერებაში შემონახული სხვადასხვა კუთხის უძველესი ზღაპრები და ლეგენდები, ზეპირსიტყვიერების სხვა ნიმუშები;

❖ გაზარდოს საზოგადოების, განსაკუთრებით ახალგაზრდების, ინტერესი მათი კუთხის არამატერიალური მემკვიდრეობის მიმართ;

❖ ჩართოს საქართველოს ახალი თაობა არამატერიალური მემკვიდრეობის ნიმუშების მოძიებასა და ფიქსაციაში;

❖ გაუღვივოს მათ ინტერესი წინაპრების კულტურისა და შემოქმედებისადმი.

კონკურსი მოეწყობა ორ ტურად:

პირველი ტური

გულისხმობს სკოლაში მოსწავლეთა ნამუშევრების პირველად სელექციას, რომელიც, სკოლის ადმინისტრაციის მიერ, საკონკურსო პირობების ყველა ნორმის დაცვით იქნება შერჩეული და გადმოგზავნილი მითითებულ ელმისამართზე (იხ. საკონკურსო ნიმუშის წარდგენის ფორმა), საჭიროების შემთხვევაში, სკოლის ხელმძღვანელობამ თავად უნდა გაუწიოს მოსწავლეს ტექნიკური დახმარება.

თითოეული ნაშრომი უნდა მოიცავდეს:

1. ვორდის ფაილში დაწერილ საკონკურსო ნამუშევარს;

2. მოსწავლეების მიერ მოთხრობილი ამბის მიხედვით ცალკე შესრულებულ (დახატული, გამოძერწილი, კონსტრუირებული და სხვ.) ილუსტრაციებს და მათი მაღალი ხარისხით გადაღებულ ფოტოებს (რაოდენობა შეზღუდული არ არის). ფოტოები უნდა გადმოიგზავნოს ვორდის ფაილში შესრულებულ ნაწერთან ერთად jpg ფორმატში;

3. ელემენტზე მუშაობის ამსახველი ფოტომასალა, გადმოგზავნილი ასევე jpg ფორმატით;

4. ვორდის ფაილში დაწერილი ნაშრომი გაფორმებული უნდა იყოს მონაწილის მიერ შესრულებული ილუსტრაციების ფოტოებით, რათა ნამუშევრების გადარჩევისას კომისიის წევრებს გაუადვილდეთ მათი შეფასება.

სასურველია ნიმუში ჩაიწეროს თქვენი რეგიონის (სოფლის, ქალაქის, ქუჩის, უბნის, ოჯახის, და ა.შ.) მკვიდრი მოსახლისაგან.

სასურველია მოძიებული და ჩაწერილი ნიმუში ფართე საზოგადოებისთვის ნაკლებად იყოს ცნობილი.

სკოლის შიდა შერჩევის შედეგად შერჩეული საუკეთესო ერთი ან რამდენიმე ნიმუში სკოლამ უნდა გადმოაგზავნოს:

❖ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში ელფოსტაზე aramaterialuri@yahoo.com,

❖ ან გაზეთ „ახალი განათლების“ რედაქციაში,

❖ ან მოგვაწოდოს ფოსტით – „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“, მისამართზე: თბილისი, 0105, თაბუკაშვილის ქ. 5.

საინტერესო ნაშრომების ავტორები მონაწილეობას მიიღებენ მეორე ტურში.

მეორე ტური

მეორე ტურში გადასული მოსწავლეები, კონკურსის ორგანიზატორების შენიშვნების გათვალისწინებით, ჩაასწორებენ ნიმუშებს და ხელახლა გადმოგზავნიან კონკურსის გამარჯვებულის გამოსავლენად.

გამარჯვებული ნიმუშების მიხედვით შედგება ილუსტრირებული კრებული, რომელიც გამოიცემა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ და საჩუქრად გადაეცემათ ავტორებსა და კონკურსში მონაწილე სკოლებს, ასევე სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებს.

გამარჯვებული ავტორი (სკოლა, მასწავლებელი, მოსწავლე), საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ დაჯილდოვდება საგანგებო სიგელით და მიიღებს „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ქომაგის“ წოდებას. ნამუშევრები გამოქვეყნდება გაზეთ „ახალ განათლებაში“. გაშუქდება მასმედიით.

საკონკურსო ნიმუშის წარდგენის ფორმა:

1. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუში – *დასახელება;*
2. იდეის ავტორი – *სახელი, გვარი;*
3. ხელმძღვანელი პედაგოგი – *სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, ელმისამართი);*
4. ქალაქი (რაიონი, სოფელი) და სკოლის სრული დასახელება;
5. სკოლის დირექტორი – *სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელელეფონი, ელმისამართი);*
6. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშის სხვა დასახელება (რამდენიმე დასახელების შემთხვევაში, მიუთითეთ ყველა სათაური და დაურთეთ კომენტარი);
7. ნიმუშის აღწერა.

აღწერისათვის უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

❖ *რას წარმოადგენს თქვენ მიერ შერჩეული არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუში (ზღაპარი, იგავი, თქმულება, ლეგენდა და ა.შ.) – მოკლე განმარტება ნიმუშის შესახებ;*

❖ *ნიმუშის სახელწოდება (აგრეთვე, მიუთითეთ თუ არის ცნობილი თქვენ მიერ აღწერილი ნიმუშის განსხვავებული, სხვა სახელწოდება);*

❖ *ნიმუშის ჩაწერის აღწერილობა – სად, როდის, რისთვის და ვის მიერ იქნა მოთხრობილი და ჩაწერილი ეს ნიმუში და ვისგან აქვს მოსმენილი თავად მის მთხრობელს;*

❖ *ტრადიციულად, რა დროს, რა შემთხვევაში ჰყვებოდნენ მას (ასეთის არსებობის შემთხვევაში, აღწერეთ გარემოება, როდესაც ჰყვებოდნენ ამ კონკრეტულ ნიმუშს);*

❖ *რას უკავშირდებოდა აღნიშნული ამბის თხრობა/გამოყენება/შესრულება;*

❖ *რა ატრიბუტები უკავშირდება/თან ახლავს მის თხრობას/გამოყენებას/შესრულებას (ასეთის არსებობის შემთხვევაში დააფიქსირეთ ფოტოზე);*

❖ *სხვა პირობები, რომელიც აუცილებელია აღნიშნული ნიმუშის თხრობის დროს;*

❖ *რა როლი ენიჭება თქვენ მიერ შერჩეულ ნიმუშს საზოგადოების კულტურულ, ან რელიგიურ, ან ყოველდღიურ ცხოვრებაში. დაასაბუთეთ შემოთავაზებული ნიმუშის მნიშვნელობა (უნიკალობა ან ორიგინალობა) პირადად თქვენთვის (რეგიონისთვის, სოფლისთვის, ოჯახისთვის, სკოლისთვის...), საზოგადოებისათვის;*

❖ **აღწერეთ თავად ნიმუში – სასურველია, სიტყვების საერთო რაოდენობა არ იყოს 500 სიტყვაზე ნაკლები.**

სპეციფიკის გათვალისწინებით წარმოდგენილ ნაშრომს უნდა ახლდეს შესაბამისი თვალსაჩინო მასალა: ფოტო, ვიდეო (შესაძლებლობის შემთხვევაში), ასევე ჩანახატი, ჩანახაზი, შაბლონი, სქემა, ესკიზი და სხვ.

ნამუშევრებს, სპეციალისტებთან ერთად, განიხილავენ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ექსპერტები.

გადმოგზავნის ვადაა 2016 წლის 1 მარტი.

გვეკონტაქტეთ: სამუშაო დღეებში
(32)298-39-24, 13სთ-დან 15სთ-მდე
ან 599 08 40 03; 599 08 40 14;
aramaterialuri@yahoo.com
მაკა თაქთაქიშვილი, სალომე ხმიადაშვილი,
კოტე ნაცვლიშვილი

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს იუნესკოსა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის არამატერიალური მემკვიდრეობის განყოფილება

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სასერტიფიკატო კურსი კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში – ღვინო და ღვინის კულტურა

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების სამსახურმა, TEMPUS-ის პროექტის SSRULL ფარგლებში, 14-19 დეკემბერს, სასერტიფიკატო კურსი – „ღვინო და ღვინის კულტურა“ – ჩაატარა.

კურსი გათვალისწინებული იყო მეღვინეობის დარგში მომუშავე სპეციალისტებისთვის, ღვინის ინდუსტრიით და ტურიზმით დაინტერესებულ პირთათვის. ტრენინგ-პროგრამის მსმენელები დეტალურად გაეცნენ ღვინის ტიპებს, არომატებსა და მისი აღქმის ზღვრებს: რა არის ღვინო და ღვინის ტიპები; ღვინის არომატები და მისი აღქმის ზღვრები; ღვინის ზადი; ღვინისა და საჭმლის შეხამება, ღვინის სერვისი; ღვინის ტურიზმი; ღვინის მარკეტინგი.

პროგრამა 6 დღის განმავლობაში გრძელდებოდა. ტრენინგების პირველი ნაწილი კსუ-ს კანცლერის მოადგილემ (მევენახეობა-მეღვინეობის ფაკულტეტის მიმართულებით) **ქეთევან ჯურხაძემ** ჩაატარა. დასკვნითი ნაწილი კი – კსუ-ს ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა **კახაბერ ჯაყელმა**.

ტრენინგ-პროგრამაზე დარეგისტრირებულთა უმრავლესობას მეღვინეობის მიმართულებით ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება ჰქონდა, თუმცა კურსს ახალგაზრდა, თემით დაინტერესებული მსმენელიც ჰყავდა.

ღვინის ზადი, ღვინისა და საჭმლის შეხამება, ბიოდინამიური და ნატურალური ღვინოები – თეორიული ნაწილის პარალელურად, ტრენინგ-კურსი პრაქტიკულ სავარჯიშოებსა და დეგუსტაციის ნაწილსაც მოიცავდა, რაც მსმენელებში დამატებითი უნარებისა და ჩვევების დახვეწა-განვითარებას შეუწყობს ხელს.

უშუალოდ ღვინის ტიპების, მისი შემადგენლობისა და დამზადების გარდა, ტრენერმა ქეთევან ჯურხაძემ ვრცლად მიმოიხილა ღვინის ტურიზმის საკითხები: როგორ და რა პრინციპით უნდა დაიგეგმოს ღვინის ტური, რა სერვისები უნდა შევთავაზოთ ტურისტს.

ტრენინგ-პროგრამაზე კახაბერ ჯაყელმა მსმენელებთან ღვინის სამომხმარებლო კულტურასა და მის მარკეტინგზე ისაუბრა.

ტრენინგის დასრულების შემდეგ კსუ-ს კანცლერმა **ვახტანგ წივწივაძემ** კურსის მონაწილეები ორენოვანი სერტიფიკატებით დააჯილდოვა.

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტმა ბიზნესცერემონიალის ფარგლებში წარდგენილ ნომინაციაში – „რეპუტაცია და ნდობა“ – გაიმარჯვა და „წარმატებული ქართული ბრენდის“ ტიტული მიიღო

18 დეკემბერს, სასტუმროში Hotels & Preference Hualing Tbilisi, ყოველწლიური ბიზნესცერემონიალი – ქართული ბრენდის დღე – გაიმართა.

ქართული ბიზნესის ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური მოვლენა წელს მეცამეტედ ჩატარდა და საკმაოდ პომპეზურად აღინიშნა.

სამომხმარებლო, შრომით თუ საგანმანათლებლო ბაზარზე არსებულ წარმატებულ კომპანიებთან და ლიდერ ორგანიზაციებთან ერთად, ღონისძიებაში, როგორც ერთ-ერთი წარმატებული ქართული ბრენდი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი მონაწილეობდა.

ღონისძიებაზე საპატიო სტუმრის სტატუსით იყვნენ მიწვეული: კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის კანცლერი – **ვახტანგ წივწივაძე**, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ვიცე-რექტორი – **მარინა გედევანიშვილი** და კსუ-ს ადმინისტრაციული აპარატის სხვადასხვა დეპარტამენტის წარმომადგენლები.

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტმა ბიზნესცერემონიალის ფარგლებში წარდგენილ ნომინაციაში – „რეპუტაცია და ნდობა“ – გაიმარჯვა და „წარმატებული ქართული ბრენდის“ ტიტული მიიღო. ღონისძიების ორგანიზატორებმა კსუ-ს კანცლერს სერტიფიკატი და ჯილდო საზეიმო ვითარებაში გადასცეს.

ვახტანგ წივწივაძე: „ეს შეფასება და ჯილდო გვავალდებულებს, რომ უნივერსიტეტის ხარისხის თამასა კვლავაც მაღლა გვეჭიროს. მე დარწმუნებული ვარ, ეს ასეც იქნება, პროცესი გაგრძელდება და უნივერსიტეტი საერთაშორისო აღიარებას სულ მოკლე დროში მიაღწევს, თუმცა ევროპაში ჩვენი სიტყვა უკვე ნათქვამი გვაქვს.

მე კიდევ ერთხელ ვულოცავ უნივერსიტეტის ყველა თანამშრომელს, სტუდენტს ამ დიდ წარმატებასა და დაფასებას. ეს არ არის ერთი და ორი კაცის მიღწევა, ეს არის გუნდის – იმ შრომითი კოლექტივის, აკადემიური პერსონალისა და უნივერსიტეტის თითოეული თანამშრომლის მიღწევა, ვინც კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში მუშაობს.

ჩვენი ეს გამარჯვება კი იმის საწინდარია, რომ მომავალში უფრო მეტი მიღწევა გვექნება.“

ღონისძიების დასასრულს საზეიმოდ გაიჭრა ქართული ბრენდის დღისათვის დამზადებული ტორტი.

კონკურსის მიზანია, ქართული ბრენდების წარმოჩენა და მათ შორის ჯანსაღი კონკურენციის ხელშეწყობა.

აქტუალური თემა

სკოლის მიღმა დარჩენილები – რა უშლის ხელს მათ სასკოლო სივრცეში ინტეგრაციას

ლალი ჯელაძე

საქართველოში ჯერ კიდევ არიან ბავშვები, რომლებიც სასკოლო განათლებას ვერ იღებენ. რა აფერხებს სკოლის მიღმა დარჩენილი მოზარდების სასკოლო სივრცეში ინტეგრაციას და მათი ზოგადი განათლების უზრუნველყოფის პროცესს – ამ თემაზე „ფრონტლაინში“ დისკუსია გაიმართა. ზუსტი მონაცემები სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების არ არსებობს, თუმცა, ვინც ამ ფუნდამენტურ უფლებას მოკლებულია, მათი რიცხვი ძალიან დიდი არ არის, მაგრამ რაც არის, საკმაოდ პრობლემურია – სხვადასხვა მიმართულების პრობლემები გვაქვს – მიიჩნევს გაეროს ბავშვთა ფონდის განათლების პროგრამის ხელმძღვანელი **მაია ყუფარაძე**: *„საინტერესოა ჩავუღრმავდეთ იმ საკითხებს, რომლებიც ამ პრობლემის წინაშე გვაყენებს. მაგალითად, რა ვიცით ამ პრობლემის მოცულობის შესახებ, თვითონ ამ ბავშვების შესახებ, ქვეყანაში რა მექანიზმები არსებობს, რომლებიც საზოგადოებას ეხმარება მათ იდენტიფიცირებაში, პოვნასა და რეგისტრაციაში.*

მათი იდენტიფიცირება და დარეგისტრირება რომ მოხდეს, მნიშვნელოვანია, შეგროვდეს ინფორმაცია მათ შესახებ. პრაქტიკულად, დღეს მონაცემები ამ ბავშვების შესახებ ძალიან ურთიერთგამომრიცხავია და ერთიანი მონაცემები არ გვაქვს. იუნისეფი კარგა ხანია მუშაობს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან და განათლების მართვის საინფორმაციო ცენტრთან ერთად, რათა გადაიხედოს ინდიკატორების ნუსხა იმ მიზნით, რომ სახელმწიფო ინდიკატორთა სიაში რეალურად შევიდეს ახალი ინდიკატორები სკოლისა და განათლების მიღმა დარჩენილი ბავშვების შესახებ. შესაბამისად, შეგროვდეს მონაცემები ასეთი ბავშვების შესახებ. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ მიერ გაკეთებული ყველა დასკვნა – სტრატეგიული, პროგრამული თუ სხვა ეფუძნებოდეს იმას, თუ რამდენად აქტუალურია ეს პრობლემა საქართველოში და თუკი აქტუალურია, მაშინ ვეძებოთ მიზეზები, თუ რა გვაძლევს ამის საფუძველს.“

სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების ზუსტი რაოდენობის დადგენა აუცილებელია, რადგან საკითხის განზოგადება არაფრის მომცემი და არაეფექტური იქნება. ამის მაგალითად თუნდაც ის გამოდგება, რომ წლების განმავლობაში ამ საკითხზე არაერთი დისკუსია და მსჯელობა გაიმართა, მაგრამ როგორც ქალბატონი მაია აცხადებს: *„რიგ მნიშვნელოვან საკითხებთან მიმართებაში, სისტემურ დონეზე, მაინცდამაინც შორს არ ვართ წასულები. პირველ რიგში, ხაზს გავუსვამ მონიტორინგის სისტემას – როგორ მიდის საქართველოში მონიტორინგი, რაც იუნისეფისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. მონიტორინგის საკითხი სწორედ გაეროს ბავშვთა ფონდმა შემოვიტანეთ, იმიტომ რომ სკოლის მიღმა და განათლების მიღმა დარჩენილი ბავშვები როგორც ადგილობრივ, ისე რეგიონულ და გლობალურ პრობლემას წარმოადგენს, ამ საკითხზე იუნისეფი ევროსტატთან და იუნესკოს სტატისტიკის ინსტიტუტთან მუშაობს. უახლოეს ხანებში, ჩვენს ქვეყანას, რომელმაც ბავშვის უფლებათა კონვენციის რატიფიცირება მოახდინა, მოუწევს მიაწოდოს სათანადო ინფორმაცია სკოლის მიღმა და განათლების მიღმა დარჩენილი ბავშვების შესახებ – სტატისტიკა როგორც ევროსტატს, ისევე იუნესკოს სტატისტიკის ინსტიტუტს. ახალი ინდიკატორების გაჩენა სისტემაში ყველა იმ ქვეყნის ვალდებულებაა, რომელმაც ბავშვის უფლებების კონვენციის რატიფიცირება მოახდინა.“*

ვინ არიან სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვები და როგორ მოხდა დეფინიცია, ამის შესახებ მაია ყუფარაძე აცხადებს, რომ იუნისეფმა შემოიტანა დეფინიცია – თუ რა იგულისხმება განსაზღვრების „განათლების მიღმა დარჩენილი ბავშვები“ ქვეშ, თუმცა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს განსაზღვრება არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს იმას, რომ თვითონ ქვეყანამ არ იფიქროს დეფინიციაზე, იმიტომ რომ, ყველა ქვეყანას თავისი კონტექსტი აქვს და შესაბამისი დეფინიციაც სწორედ ამ კონტექსტს უნდა მოერგოს.

მივყვეთ იმ განმარტებებს, რომელზეც განათლების პროგრამის ხელმძღვანელი საუბრობს. მან სამი კატეგორია, ანუ სამი ჯგუფი გამოყო, რომელსაც განათლების მიღმა დარჩენილი ბავშვები განეკუთვნებიან:

„ხილული ბავშვები“ – ყველა ის ბავშვი, რომლებიც რეგისტრირებული არიან განათლების სისტემაში და მათ შესახებ ინფორმაციას ფლობს როგორც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ასევე განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. შესაბამისად, ბავშვი შეყვანილია მონაცემთა ბაზაში და ჩარიცხულია სკოლაში. აი, ამას ჰქვია „ხილული ბავშვი“.

„ნახევრად ხილული ბავშვი“ – ბავშვი, რომელიც შესაძლებელია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მონაცემთა ბაზაში არ იყოს რეგისტრირებული, მაგრამ რეგისტრირებულია სხვა სახელმწიფო უწყების მონაცემთა ბაზაში. შეიძლება რეგისტრირებული იყვნენ სამოქალაქო რეესტრში, ჯანდაცვის და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს მონაცემთა ბაზაში, მაგრამ მათ შესახებ არაფერი იცოდეს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, შესაბამისად არც სკოლამ.

„ნახევრად ხილულ“ ბავშვებში ორი კატეგორია გამოიყოფა. პირველ კატეგორიას განეკუთვნებიან ის ბავშვები, რომლებიც ჩარიცხული იყვნენ სკოლაში და შემდეგ განთესილნი. მათ შესახებ ინფორმაცია რეალურად ხელმიუწვდომელია. მეორე კატეგორიას ის ბავშვები წარმოადგენენ, რომლებიც სკოლაში არასოდეს ყოფილან ჩარიცხული, მაგრამ რეგისტრირებული არიან რომელიმე სახელმწიფო უწყების მონაცემთა ბაზაში.

„უხილავი ბავშვები“ – მესამე ჯგუფი ყველაზე მოწყვლადი და დაუცველი ჯგუფია. ეს ის ბავშვები არიან, რომლებიც სკოლაში არასოდეს ყოფილან ჩარიცხული, მიუხედავად სასკოლო ასაკისა და არც ერთი სახელმწიფო უწყების საინფორმაციო რეესტრში არ არიან გატარებული, ანუ მათ შესახებ მონაცემები, პრაქტიკულად არ არსებობს. გარდა იმისა, რომ სავალდებულო განათლებას ვერ იღებენ, მათი დაცვის ფაქტორები სრულიად გაუთვალისწინებელია. ასეთი ბავშვი ძალიან იოლად შეიძლება გახდეს ნებისმიერი ძალადობის მსხვერპლი, რადგანაც ეს ადამიანი „ბუნებაში არ არსებობს“, არც ერთ სისტემაში არ არის რეგისტრირებული, მასზე განხორციელებულ დანაშაულებრივ ფაქტს არ ექნება რაიმე სახის ადმინისტრაციული და იურიდიული მსვლელობა – ეს ძალიან საგანგაშო პრობლემაა.

ისევ მონიტორინგის სისტემის საკითხს დავუბრუნდეთ, რადგან მონიტორინგის, ანუ ამ ბავშვების გამოვლენის, მათი მუდმივი აღრიცხვიანობის (და არა – ერთჯერადი) მექანიზმი ყველა ვალდებულ და პასუხისმგებელ ორგანიზაციას თუ ადამიანს საშუალებას აძლევს, ფლობდეს ინფორმაციას თავად პრობლემის შესახებ, განსაზღვროს მისი მასშტაბი და შემდეგ, პრობლემის მოცულობიდან გამომდინარე, გააკეთოს ანალიზი, თუ რა სავალდებულო მექანიზმები და პროგრამები უნდა ამუშავდეს ქვეყანაში, რათა შემცირდეს ამ ბავშვების რაოდენობა და ის პრობლემები, რაც ამ ფაქტითაა გამოწვეული ქვეყანაში.

მაია ყუფარაძე: *„ეს, პირველ რიგში, ბავშვის საჭიროებაა, ამიტომ ქვეყანამ რეაგირება უნდა მოახდინოს და მეორე მხრივ – საერთაშორისო ვალდებულებაა. უახლოეს ხანებში, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აუცილებლად ვალდებული იქნება, სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების შესახებ შეგროვებული მონაცემები, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან ერთად, იუნესკოს და ევროპის სტატისტიკის საგენტოს გაუზიაროს. ეს აუცილებელია იმიტომ, რომ ყოველწლიურად ახლდება ინფორმაცია მსოფლიოს ქვეყნებში მიმდინარე პროცესებზე. უნივერსალური განათლების ინდიკატორები შემოგვთავაზებს ახალ ინდიკატორებს განათლების მიღმა დარჩენილი ბავშვების შესახებ და ქვეყანაში უნდა არსებობდეს მზაობა, რომ ჩვენი საერთაშორისო ვალი, ბავშვთა ინტერესიდან გამომდინარე, მოვიხადოთ და უზრუნველვყოთ ამ ინფორმაციით ყველა ის ინსტიტუცია, რომელიც ანგარიშვალდებულია განათლების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის წინაშე. მიგვაჩნია, რომ სტატისტიკა და მონიტორინგის სისტემის არსებობა ადგილობრივი და საერთაშორისო ვალდებულებაა. ამასთან ერთად, აუცილებელია, ასევე, ამ საკითხთან მიმართებაში ადგილობრივი, ეროვნული დეფინიციების შემუშავება. გარდა ამისა, უნდა მოხდეს გამომწვევი ფაქტორების დეფინიცია – მაგალითად, საპატიო და არასაპატიო გაცდენები სკოლაში. ეს ისეთი დეფინიციაა, რომელშიც გარკვეული უნდა ვიყოთ, უნდა ვიცოდეთ განათლების მესვეურებმა, რა იგულისხმება საპატიო გაცდენაში და რა – არასაპატიოში, რამდენი საათია არასაპატიო გაცდენა, იმიტომ რომ, თუ ბავშვი არასაპატიოდ აცდენს, ეს უკვე საგანგაშოა სკოლისთვის, განათლების სისტემისთვის და საზოგადოებისთვის, რადგან ეს კონკრეტული ბავშვი, უკვე თავისთავად, ძალიან მაღალი რისკის ჯგუფს წარმოადგენს. არსებობს რიგი საკითხები, რომლებსაც ძალიან კარგად ჩამოყალიბება სჭირდება საქართველოს კონტექსტში, ჩვენი განათლების სისტემის კონტექსტში და ეს რეალურად არაერთ ანგარიშშია ჩაწერილი, რომელიც იუნისეფმა, ქართველ სპეციალისტებთან ერთად, საქართველოში შეიმუშავა, მათ შორის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად.*

რაც შეეხება პრობლემის მასშტაბურობას, მცირე მასშტაბის შემთხვევაშიც კი, ქვეყანა ყოველმხრივ უნდა იყოს მზად და ყველა ბერკეტი უნდა ჰქონდეს, რომ მასზე მყისიერი რეაგირება მოახდინოს.“

განათლების მიღმა დარჩენილ ბავშვებს, მონიტორინგისა და სასკოლო განათლების გარდა, სჭირდებათ შუალედური განათლება. რას გულისხმობს შუალედური განათლება და რომელი კატეგორიის ბავშვებისთვისაა აუცილებელი? შუალედური განათლების სამიზნე ჯგუფი ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები არიან. რასაკვირველია, სახელმწიფოს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ერთ-ერთი მთავარი მიზანი ასეთი ბავშვების სკოლებში ინკლუზიაა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მათგან ზოგიერთი არასოდეს ყოფილა სკოლაში ჩარიცხული და არანაირი აკადემიური მოსწრება არ გააჩნია, სწორედ ამიტომ გახდა საჭირო იმ არაფორმალური განათლების მექანიზმების გაძლიერება, რომელიც იქნება შუალედური ქუჩასა და სკოლას შორის და დაეხმარება ბავშვს როგორც ადაპტაციაში, ასევე აკადემიურ მომზადებაში. ამ პროცესს ემსახურება რამდენიმე დღის ცენტრი, რომელიც, გარდა ფსიქოლოგიური, დაცვითი და სხვადასხვა სოციალური სერვისებისა, მიუსაფარ ბავშვებს, რომლებიც ცხოვრობენ და მუშაობენ ქუჩაში, არაფორმალურ განათლებას სთავაზობს, ანუ ამზადებს სკოლაში ჩასართველად. რეალურად, მათ აგუებს გარემოს, რომ უფრო იოლად შეძლონ სკოლაში სიარული და სწავლა. განათლების პროგრამის ხელმძღვანელი მიიჩნევს, შუალედური განათლება რომ უკეთ წარმართოს, *„უნდა არსებობდეს ადაპტირებული პროგრამები, რომელიც მთავარ საკვანძო საკითხებზე გაამახვილებს იმ სპეციალისტების ყურადღებას, რომლებიც დღის ცენტრებში მუშაობენ. ამ პროგრამების საფუძველზე, ისინი განივითარებენ პროფესიულ ალღოს და სასწავლო პროცესში გამოიყენებენ. ე.ი. ჩვენ გვჭირდება პროგრამები არაფორმალური განათლებისათვის, რომლებიც დაეფუძნება სტანდარტს – სახელმწიფო სტანდარტის სასწავლო გეგმას. სტანდარტი განსაზღვრავს, რა უნდა იცოდეს ბავშვმა და რა მიზნებსა და ამოცანებს უნდა აკმაყოფილებდეს მისი აკადემიური მიღწევები. აუცილებელია ამ სტანდარტის საფუძველზე ადაპტირებული სასწავლო გეგმისა და პროგრამის შემუშავება. არაფორმალური განათლების გარდა, ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სკოლას და ძალიან კარგია, რომ ინკლუზიური განათლების ცნებამ მოიცვა ყველა ის ბავშვი, რომელსაც ამა თუ იმ სახის სასწავლო საჭიროება აქვს. მნიშვნელოვანია, რომ მათთვის ადაპტირებული პროგრამები შემუშავდეს და მასწავლებლებმაც იცოდნენ, ინდივიდუალური გეგმების საფუძველზე, როგორ დააწიონ მოსწავლე იმ სავალდებულო სასწავლო გეგმას, რომელსაც ჩამორჩენილია.“*

ინკლუზიური განათლება, როგორც კომპლექსური ფენომენი, მიმდინარეობს ქვეყანაში და ძალიან ბევრი წარმატებული პროგრამა თუ პროექტი არსებობს ფორმალური და არაფორმალური განათლების დონეზე, რომელსაც გაფართოება სჭირდება. პროგრამის განვრცობა აუცილებელია, იმიტომ რომ, ის ბავშვების ძალიან მცირე რაოდენობას ფარავს, მაშინ, როცა დიდი ნაწილი ამ პროგრამის მიღმა რჩება. ამ შემთხვევაში კი *„დროს და ვადას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს* – ამბობს ქალბატონი მაია – *რეგიონებში ინკლუზიური განათლების სხვადასხვა ინიციატივები ძალიან ფასობს. სწორედ ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი, რომ კოლეგები შუა აზიიდან, ტაჯიკეთიდან, იუნისეფის რეკომენდაციით, საქართველოში ჩამოვიდნენ, რომ გაცნობოდნენ ინკლუზიური განათლების ძალიან წარმატებულ მოდელს. ზუსტად ეს არის სამწუხარო, რომ ბევრი წარმატებული მოდელი გვაქვს, რომელიც დროსა და სივრცეშია ჩაკეტილი და მათი განვრცობა არ ხდება.“*

დისკუსიაზე ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ხარვეზებზეც ისაუბრეს და გამოიკვეთა, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მთელ რიგ ინოვაციებზე მუშაობს, რომელსაც საკანონმდებლო სისტემის დახვეწა სჭირდება, რადგან, ხშირ შემთხვევაში, მათ დანერგვას ხელს უშლის კანონში გაუთვალისწინებელი რეგულაციები. ამ მიმართულებითაც იუნისეფმა სერიოზული დახმარება გაუწია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და საკანონმდებლო რეგულაციების დახვეწა დასრულების ფაზაშია. იმედს გამოთქვამენ, რომ 2016 წლისთვის დამტკიცება.

რეალურად რა პროგრამები ხორციელდება განათლების მიღმა დაჩენილი ბავშვებისთვის, რა ტიპის სერვისებს სთავაზობს მათ სახელმწიფო?

2013 წლიდან, იუნისეფის მხარდაჭერით, დაიწყო პროგრამა – „განათლების მიღების მეორე შესაძლებლობა სასწავლო პროცესის მიღმა დარჩენილი მოსწავლეებისთვის საქართველოში“, რომლის ფუნქციონირებით სახელმწიფომ ვალდებულება აიღო, დაინახოს სად და ვინ არიან ბავშვები, რომლებიც განათლების მიღმა არიან დარჩენილები და რა პროგრამები შესთავაზოს, როგორ მოხდეს მათი ჩართვა ინკლუზიურ განათლებაში.

თუმცა, ამ პროგრამის ამოქმედებამდე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ფუნქციონირებდა პროგრამა – სოციალური ინკლუზია, რომელიც ინკლუზიური განათლების ნაწილი არ იყო და ცალკე პროგრამად მიმდინარეობდა. პროგრამის შესახებ საუბრობს **ეკა დგებუაძე,** განათლების სამინისტროს ინკლუზიური განათლების სამმართველოს უფროსი: *„ძალიან მიხარია, რომ სამინისტროს იმ ჯგუფის ხედვა, რომელიც ინკლუზიურ განათლებაზე მუშაობს, უფრო მეტად გაფართოვდა და ჩვენც დავინახეთ, რომ ყველა იმ ბავშვზე, რომელიც ვერ ძლევს ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს და რომლებიც ფორმალური განათლების მიღმა არიან დარჩენილები, განათლების სამინისტრომ ვალდებულება აიღო – ხელი შეუწყოს მათ განვითარებას და სხვადასხვა ტიპის სერვისები თუ პროგრამები შესთავაზოს.*

პირველ რიგში, დადგინდა რა ტიპის მოწყვლადი ჯგუფები არსებობს ქვეყანაში, ამის შემდეგ დავიწყეთ იმ მიზეზების მოკვლევა, რის გამოც არ დადიან ბავშვები სკოლაში, გაკეთდა სპეციალური კითხვარი, ავირჩიეთ ის სკოლები, რომლებშიც ირიცხებიან ქუჩაში მცხოვრები ან მომუშავე ბავშვები. საჭიროების მიხედვით მოვამზადეთ პროგრამები, რომლებიც მათ სკოლასა და საზოგადოებაში ინტეგრაციაში დაეხმარება.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, 2015 წელს, დაიწყო საპილოტე ტრანზიტული პროგრამის განხორციელება – სპეციალური საგანმანათლებლო სერვისების პილოტირება ე.წ. ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვებისთვის. ჩვენ თვითონ შევედით დღის ორ ცენტრში, ბავშვები კი არ ვაიძულეთ, წასულიყვნენ სკოლაში, არამედ, პროგრამის ფარგლებში, გამოცდილმა სპეციალისტებმა მათთან სოციალური და აკადემიური უნარების განვითარებაზე იმუშავეს, დავადგინეთ მათი საგანმანათლებლო საჭიროებები, განვახორციელეთ სოციალური უნარებისა და აკადემიური განვითარების პროგრამები. მოვიყვანეთ სპეცმასწავლებლები და პედაგოგები, რომლებიც ეხმარებიან ბავშვებს, ნელ-ნელა მოემზადონ სკოლაში წასასვლელად.

ძალიან ბევრი საინტერესო და პრობლემური საკითხი გამოიკვეთა, მაგ., ზოგიერთ ბავშვს საერთოდ არ აქვს საბუთი, ზოგს კი სკოლასთან ურთიერთობის მწვავე პრობლემა აქვს, ანუ მკაფიოდ დავინახეთ თითოეული მოსწავლის პრობლემები. პარალელურად, დავადგინეთ იმ სკოლების ნუსხა, რომელშიც ეს ბავშვები ირიცხებოდნენ და დირექტორებისთვის, სკოლის ადმინისტრაციისა და პედაგოგებისთვის ჩავატარეთ ტრენინგები. გადავწყვიტეთ ამ პრობლემის მოგვარების კომპლექსური გზა გვეპოვნა – გავაძლიერეთ სკოლა, ადგილზე უზრუნველვყავით ფორმალური თუ არაფორმალური განათლების მიწოდება და დავეხმარეთ ტრანზიციაში.“

აქტუალური თემა

პროგრამის განხორციელების პირველი წელი საპილოტე წლად გამოცხადდა და შეიძლება ითქვას, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ პირველი ნაბიჯები გადადგა, მაგრამ 2016 წლიდან, პროგრამის „განათლების მიღების მეორე შესაძლებლობის“ ფარგლებში, სამინისტრო გეგმავს ჯანდაცვის სამინისტროში არსებულ ექვსივე დღის ცენტრში შესვლას და ამ მიმართულებით მუშაობას.

რაც შეეხება კანონმდებლობაში არსებულ ხარვეზებს, ეკა დგებუაძე ადასტურებს, რომ „ზოგადი განათლების შესახებ კანონში“ ცვლილებების შეტანა იგეგმება. მას შემდეგ, რაც 2013 წელს ჩვენმა ქვეყანამ ხელი მოაწერა „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა კონვენციას“, სახელმწიფომ, ამ შემთხვევაში განათლების სამინისტრომ, ვალდებულება აიღო, მომზადდა ცვლილებების პაკეტი, რომელშიც გათვალისწინებულია კონვენციით დაკისრებული ვალდებულებები. სავარაუდოდ, მომავალი წლის გაზაფხულზე, ეს ცვლილებები „ზოგადი განათლების შესახებ კანონში“ აისახება.

ქალბატონმა ეკამ, ასევე, ისაუბრა „სოციალური ინკლუზიის“ პროგრამის შესახებ, რომელიც კარგა ხანია, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, ხორციელდება და ძალიან საინტერესო და სასარგებლო პროგრამად მიიჩნევა. მისი უნიკალობა იმაში მდგომარეობს, რომ პროგრამა თემში ეძებს ფორმალური განათლების მიღმა დარჩენილ ბავშვებს. პროგრამა ენთიკური და რელიგიური უმცირესობების ბავშვებთან მუშაობს. 2015 წელს, ამ პროგრამის ფარგლებში, 100-ზე მეტი ბოშა ბავშვი ჩაირიცხა საჯარო სკოლებში. პროგრამამ ასევე მოიძია მესხი ბავშვები. *„განათლების სამინისტროს ინტერესი სწორედ ეს არის – მაქსიმალურად მოიძიოს ასეთი ბავშვები, არსებული სიტუაციების საფუძველზე, შეიმუშაოს გარკვეული პროგრამები და შესთავაზოს მათ ფორმალური თუ არაფორმალური განათლება. ძალიან მიხარია, რომ ამ საკითხზე სისტემამ დაიწყო ფიქრი და ზრუნვა. კარგი იქნება, ამ პრობლემაზე რაც შეიძლება მეტს თუ ვილაპარაკებთ, მეტ აზრს გავუზიარებთ ერთმანეთს, მეტად ჩავერთვებით დისკუსიაში – ასეთი ურთიერთობები და თანამშრომლობა მეტი სწორი ქმედითი ნაბიჯის გადადგმის საშუალებას მოგვცემს.“*

რამდენიმე დღის წინ გაიმართა პროგრამის „განათლების მიღების მეორე შესაძლებლობა სასწავლო პროცესის მიღმა დარჩენილი მოსწავლეებისთვის საქართველოში“ შედეგების პრეზენტაცია, რომელიც ორი ძირითადი მიმართულებით მუშაობს: სკოლის მიღმა დარჩენილი და სკოლის მიტოვების რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების მონიტორინგის ჩარჩო, მოწყვლადი ჯგუფების ბავშვთა ფორმალურ განათლებაში ინტეგრაციისთვის სპეციალური საგანმანათლებლო სერვისები.

პროგრამის ფარგლებში, არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ცენტრის (CSDC)“ მიერ, სოციალური მომსახურების სააგენტოს ბავშვზე ზრუნვის სერვისებში არსებულ ორ ცენტრში (კრიზისული ინტერვენციის თავშესაფარში და 24-საათიანი ტრანზიტული მომსახურების ცენტრში) განხორციელდა სპეციალური საგანმანათლებლო სერვისის პილოტირება ე.წ. ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვებისთვის.

გამოცდილმა სპეციალისტებმა ბავშვების სოციალური და აკადემიური უნარების განვითარებაზე იმუშავეს, არაფორმალური განათლების ფარგლებში, სხვადასხვა აქტივობები განხორციელდა. სკოლების გაძლიერების მიზნით, თემაზე „მოწყვლადი ჯგუფების ბავშვთა საგანმანათლებლო საჭიროებების იდენტიფიკაცია, მათთან კომუნიკაციის და თანამშრომლობის სტრატეგიები“ გადამზადდნენ იმ სკოლების მასწავლებლები და დირექტორები, რომელ სკოლებშიც ცენტრებში რეგისტრირებული ბავშვები ირიცხებიან, ასევე, ცენტრებთან ტერიტორიულად ახლომდებარე სკოლები. მშობლებისთვის ჩატარდა საინფორმაციო კამპანია, დაიბეჭდა საინფორმაციო ბროშურა.

პროგრამის ფარგლებში, გაეროს ბავშვთა ფონდთან (UNICEF) მჭიდრო თანამშრომლობით, იუნესკოს ექსპერტის რეკომენდაციების გათვალისწინებით, მიმდინარეობს მუშაობა, სკოლის მიღმა დარჩენისა და სკოლის მიტოვების რისკის იდენტიფიცირებისთვის, განათლების სისტემაში საერთაშორისო ინდიკატორების დანერგვაზე.

ნათია ჯოხაძე, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის უფროსი: *„განათლების მიღების მეორე შესაძლებლობა ყველა ბავშვისთვის თანაბრად მნიშვნელოვანია. არანაკლებ მნიშვნელოვანია სახელმწიფოს დამოკიდებულება და ხედვა, როგორ შევუწყოთ ხელი ქუჩაში მცხოვრებ/მომუშავე ბავშვებსა და სხვა მოწყვლად ჯგუფებს, რომ მიიღონ განათლება და ჩაერთონ საგანმანათლებლო პროცესში. გენერალური მიზანი, ცხადია, ამ ბავშვებისთვის ცხოვრებისეული უნარ-ჩვევების მიწოდება, სწავლება და მათი საგანმანათლებლო სისტემაში ჩართვაა. თუმცა, მოგეხსენებათ, რომ ეს ისეთი ჯგუფია, რომელსაც, საგანმანათლებლო კომპონენტის გარდა, სხვა ტიპის სერვისების შეთავაზებაც სჭირდება: საცხოვრისი, კვება, ჯანმრთელობის დაცვა და სხვ. აქედან გამომდინარე, ურთულესი საკითხია, რომელიც სხვადასხვა უწყებებს შორის ძალიან ზუსტ, კოორდინირებულ და შეთანხმებულ მუშაობას მოითხოვს.*

ცხადია, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, თავისი კომპონენტით, აქტიურია, ვცდილობთ, ამ ბავშვებს საგანმანათლებლო პროგრამები შევთავაზოთ. პროექტის შედეგების დღევანდელი პრეზენტაციაც ზუსტად ამ მიმართულებისაა – რა გავაკეთეთ იმისთვის, რომ ამ ბავშვებისთვის ხელი შეგვეწყო ჩართულიყვნენ საჯარო სკოლებში, საგანმანათლებლო პროცესში. ვიმუშავეთ სკოლებთანაც, რადგან მნიშვნელოვანია სკოლის/მასწავლებლების მზაობა იმუშაონ ამ ბავშვებთან მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით და ხელი შეუწყონ მათი უნარების განვითარებას. არანაკლებ მნიშვნელოვანია მოსწავლეებისა და მშობლების მზაობაც. ამ მიმართულებით ნაბიჯ-ნაბიჯ მივდივართ წინ. ჩვენი მხრიდან ვაკეთებთ ყველაფერს, რომ არც ერთი ბავშვი არ დარჩეს სისტემის მიღმა.

სამწუხაროდ, პრობლემა იმდენად დიდია, რომ ერთ, ორ ან სამ თვეშიც ვერ მოგვარდება, მაგრამ მინდა დაგარწმუნოთ, რომ პროგრამა გაგრძელდება და გაფართოვდება. იმედს ვიტოვებ, რომ რამდენიმე წელიწადში, საქართველოში, აღარ იქნებიან ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები, ყველა ჩართული იქნება საგანმანათლებლო პროცესში.“

მარინა ხუნძაყიშვილი, Word Vision საქართველოს განათლების სპეციალისტი: *„პროექტი, რომლის ფარგლებშიც შემუშავდა ჩვენი ძირითადი პროდუქტი – სასიცოცხლო უნარების განვითარების კურიკულუმი – 11-დან 18 წლამდე ახალგაზრდებზეა გამიზნული. მასზე მუშაობა 2013 წელს დაიწყო და დღემდე გრძელდება. ჩვენი მიზანი იყო, კარგად გამოგვეკვლია, რა სასიცოცხლო უნარების განვითარების საჭიროების წინაშე დგანან როგორც ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე, ასევე სხვა მოწყვლადი ჯგუფის ბავშვები. ამ კვლევის საფუძველზე, შეგვექმნა სასიცოცხლო უნარების კურიკულუმი და შემდეგ უკვე შეგვეთავაზებინა მისი პილოტირება თბილისში არსებულ დღის ცენტრებში.*

ჩატარდა საჭიროებების კვლევა და, ამ კვლევაზე დაფუძნებით, შეიქმნა 3-საათიანი სასიცოცხლო უნარების კურიკულუმი, რომელიც 6 ძირითადი თავისგან შედგება – თვითცნობიერება, კომუნიკაცია, ინტერპერსონალური ურთიერთობები, ემოციების მართვა, კრიტიკული აზროვნება და სოციალური პასუხისმგებლობა. პილოტირების პროცესში ძალიან ბევრმა სავარჯიშომ იცვალა სახე – ზოგი ამოვიღეთ, შევცვალეთ ან დავამატეთ და ა.შ. ვფიქრობთ, საბოლოო სახით, კარგი კურიკულუმი გამოვიდა. კვლევამ აჩვენა, რომ გარკვეულმა მაჩვენებლებმა, ინტერვენციის შემდეგ, საკმაოდ აიწია ამ ასაკის ბავშვებში.“

იმედია, იუნისეფისა და სამინისტროს ერთობლივი ძალისხმევით, მომავალ წელს ის მაინც გვეცოდინება, რამდენი ბავშვია დარჩენილი სკოლის მიღმა. დადგენილი პრობლემის მასშტაბი კი, სამომავალო გეგმებს უფრო კონკრეტულს, ხოლო სისტემური მიდგომის შედეგად გაჩენილ შედეგებს, უფრო ხელშესახებს გახდის.

ინფორმაცია

აშშ-ს მთავრობის ინვესტიცია სკოლების რეაბილიტაციისთვის

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე და ათასწლეულის გამოწვევის ფონდის აღმასრულებელი დირექტორი მაგდა მაღრაძე ძეგვის საჯარო სკოლაში ათასწლეულის გამოწვევის კომპაქტის ფარგლებში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოებს გაეცნენ.

2015 წლიდან, სასწავლო გარემოს გაუმჯობესების მიზნით, ათასწლეულის გამოწვევის ფონდმა საქართველოს რეგიონებში საჯარო სკოლების რეაბილიტაცია დაიწყო. პირველი სარეაბილიტაციო სეზონი მცხეთა-მთიანეთის, შიდა ქართლის და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში 30-მდე საჯარო სკოლას მოიცავს. მომავალი ოთხი წლის განმავლობაში, საქართველოს რეგიონებში, 100-მდე საჯარო სკოლის რეაბილიტაცია იგეგმება. პროექტი ხორციელდება აშშ-ს ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის მეორე კომპაქტის დაფინანსებით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობით. საჯარო სკოლების რეაბილიტაციის პროექტის სრული ბიუჯეტია 54 მლნ აშშ დოლარი. პროექტის შედეგად, გაუმჯობესდება სასწავლო გარემო და ხელმისაწვდომობა 37 ათასზე მეტი ბენეფიციარისთვის (პირველი სარეაბილიტაციო სეზონი 10 ათასზე მეტ ბენეფიციარს მოიცავს).

ფონდის მიერ განხორციელებული სასწავლო გარემოს გაუმჯობესების პროექტი მოიცავს: საჯარო სკოლების სასწავლო ბაზის სრულ რეაბილიტაციას, საერთო სარგებლობის ობიექტებისა და კომუნიკაციების რეკონსტრუქციასა და სკოლების საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით უზრუნველყოფას. სარეაბილიტაციო სკოლების შერჩევას, წინასწარ დადგენილი პრიორიტეტული შერჩევის მეთოდოლოგიით, აშშ-ს ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის მიერ დაქირავებული დამოუკიდებელი ამერიკული ორგანიზაცია ახორციელებს.

პირველი წლის სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩასატარებლად, ტენდერის ფარგლებში, შეირჩა ხუთი ქართული სამშენებლო კომპანია, რომლებმაც 500-მდე ადამიანი დაასაქმეს.

ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის მეორე კომპაქტის ზოგადი განათლების პროექტს ახორციელებს ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველო, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან და სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან თანამშრომლობით.

თამარ სანიკიძე, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი: *„საფუძვლიანად დავათვალიერეთ მშენებლობის პროცესი. ყველაფერი გეგმაზომიერად მიმდინარეობს. პროგრამის ფარგლებში, საქართველოს, დაახლოებით, 100-მდე სრულად რეაბილიტირებული სკოლა შეემატება. ეს არის მილენიუმის კორპორაციის მეორე კომპაქტით გათვალისწინებული პროექტი, რომლის დიზაინზე და პროექტირებაზე მუშაობა, ტრანშების მიხედვით, თითქმის დასრულებულია და უკვე აქტიურ ფაზაშია გადასული. პირველ ტრანშში 30 სკოლა მოხვდა, რომელთაგან 15 საჯარო სკოლაში უკვე მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები და წელსვე დასრულდება. წლის ბოლომდე დაიწყება მუშაობა დანარჩენ 15 სკოლაში. მეორე ტრანშისთვის მზადება თითქმის დასასრულს მიუახლოვდა. სამწუხაროდ, სასკოლო ინფრასტრუქტურა, ჯერ კიდევ გამოწვევად რჩება. ამიტომ ნებისმიერი პროექტი, მით უმეტეს დონორების დაფინანსების ფარგლებში, ძალიან დიდი შედეგის მომტანია.“*

მაგდა მაღრაძე, ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოს აღმასრულებელი დირექტორი: *„წელს საქართველოს სამ რეგიონში – სამცხე-ჯავახეთში, შიდა ქართლში, მცხეთა-მთიანეთში – დაიწყო საჯარო სკოლების სრული რეაბილიტაცია. დღეს ვეწვიეთ ერთ-ერთ სკოლას, სადაც საფუძვლიანი რეაბილიტაცია მიმდინარეობს. გამაგრებითი სამუშაოების ნაწილი დასრულებულია და ახლა ინტერიერის და ექსტერიერის სამუშაოებზე გადავდივართ. პროექტს ამერიკის მთავრობა აფინანსებს. ათასწლეულის გამოწვევის კომპაქტის შედეგად, 37 ათასზე მეტი მოსწავლე მიიღებს გაუმჯობესებულ სასწავლო გარემოს. პროექტი გრძელდება და, სამი წლის განმავლობაში, 100-მდე სკოლას ჩაუტარდება სრულად სარეაბილიტაციო სამუშაოები.“*

ქართლოს ყიფიანი, ინფრასტრუქტურის მთავარი ინჟინერი: *„ეს სკოლა, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე რთული პროექტია იმის გამო, რომ აქ სარეკონსტრუქციო სამუშაოები ტარდება. საჭირო გახდა სპეციალური გამაგრების პროექტი, რომელიც სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს მიერ დამტკიცდა და მის მიხედვით მიმდინარეობს რეაბილიტაცია. ზოგადად, სკოლის მასშტაბური რეკონსტრუქცია ხდება, დაცულია ყველა საერთაშორისო სტანდარტი. მნიშვნელოვანია, რომ შემოტანილია ენერგოეფექტურობის გარკვეული ელემენტები, რაც შენობის ნაკლები დანახარჯით გათბობას უზრუნველყოფს. მიმდინარეობს სანიტარიული ბლოკის მიშენება, სადაც ასევე იქნება გათბობა და ბავშვები კომფორტულად იგრძნობენ თავს.“*

ლაშა ირემაშვილი, ძეგვის საჯარო სკოლის მოსწავლე: *„ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ვსწავლობდით ავარიულ შენობაში. შეწუხებულები ვიყავით, რადგან შენობის დანგრევის საშიშროება იყო. როგორც იქნა, გარემონტდება ჩვენი სკოლა და იმედი გვაქვს, მომავალი სასწავლო წლიდან, ძეგვის საჯარო სკოლის მოსწავლეები ახალ, გარემონტებულ, ლამაზ შენობაში ვისწავლით.“*

პედაგოგთა დასახმარებლად

ლალი ვაშაკიძე

ქართული (დაწყებითი საფეხური)

გამართული მეტყველება ჩვენი აზროვნებისა და კომუნიკაციის იარაღია

ხშირად პრობლემა უფრო ახლოსაა, ვიდრე ჩვენ გვგონია, იშვიათად შეხვდებით საშუალო სკოლის მოსწავლეს, გამართულად რომ მეტყველებდეს. მე ერთი წუთითაც არ მსურს დავაკნინო მათი ცოდნა და შესაძლებლობები. მიზეზი ჩვენს სასწავლო პროცესში უნდა ვეძებოთ. არადა ეროვნულ სასწავლო გეგმაში, დაწყებითი სკოლიდან მოყოლებული, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ზეპირმეტყველებას და იგი სტანდარტის ცალკე კომპონენტი გახლავთ. მაგრამ მოდი დავსვათ კითხვა, რამდენად ხშირად ვაფასებთ ამ კომპონენტის მიხედვით. მე ვიცი, შემომიტევს გაკვირვებული მასწავლებელი, რომელიც იტყვის, დღე არ გავა, რომ მოსწავლე არ გამოვიძახოთ და გაკვეთილი არ მოვაყოლოთო. მართალი ბრძანდებით, მეც ხშირად ასე ვიქცევი, მაგრამ ისიც შემიძლია ვთქვა, რომ ეს არ არის ის, რაც ზეპირმეტყველების განვითარებისათვისაა საჭირო და, საერთოდაც, იგი არ გამოხატავს იმას, რომ მოსწავლე ამაში განაფუღია. გავიხსენოთ ტრადიციული ფრაზა, გადასარევად ყვება გაკვეთილს, მაგრამ როგორც კი შეაწყვეტინებ და კითხვას დაუსვამ, იბნევაო. ცხადია, დაბნევა აქ არაფერ შუაშია, მიზეზი ის გახლავთ, რომ მას არ გააჩნია მეტყველებითი აქტივობის შესაბამისი უნარები. ერთად გავიხსენოთ, რას ნიშნავს ამ უნარების ქონა. იმ ჩამონათვალში, რომელიც ასახავს თუ რა უნდა შეეძლოს დაწყებითი სკოლის ბოლოს მოსწავლეს, ზეპირმეტყველებას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, უმრავლესობა თუ არა, ნახევარი მაინც უკავშირდება ზეპირმეტყველების უნარს. ზეპირმეტყველება უკავშირდება მოსმენის, კითხვის, აზროვნების, კომუნიკაციის უნარებს და დიდი მნიშვნელობა აქვს კოგნიტური თუ სოციალური თვითგამოვლენისათვის.

- სხვადასხვა ტიპის ტექსტის მოსმენა და გადმოცემა;
- წაკითხული წინადადებებისა და ტექსტის კონსტრუირება;
- ტექსტში მოცემული გრამატიკული კონსტრუქციების გამოყოფა და სათანადო ინტერპრეტაციით წარმოდგენა;
- სხვადასხვა სამეტყველო სიტუაციაში ადეკვატურად რეაგირება;
- კამათის, დისკუსიისა და მსჯელობის სტრატეგიების გამოყენება;
- საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების კორექცია და დახვეწა კომუნიკაციის ეტიკეტური ნორმების მიხედვით;
- სხვადასხვა ლიტერატურული ჟანრის ტექსტების მოსმენა, წაკითხვა და საკუთარი ემოციებისა და აზრის გამოხატვა;
- მოსმენილი ან წაკითხული ნაწარმოების დაკავშირება საკუთარ გამოცდილებასთან;
- გმირის შეფასება და ა.შ.

გამახსენდა, კარგა ხნის წინ, ერთ-ერთ ფსიქოლოგიის სახელმძღვანელოში ამოკითხული ინფორმაცია „მაუგლის“ ტიპის ბავშვებზე. მოგვიანებით, ძალიან საინტერესო დოკუმენტური ფილმიც ვნახე. ხანგრძლივი და დიდი შრომის შედეგად ეს ბავშვები ადაპტირდნენ სოციუმში, ისწავლეს უამრავი სიტყვა, მაგრამ გარკვეული ასაკის შემდეგ ნაპოვნმა ბავშვებმა (თუ არ ვცდები, 4-5 წლის მერე) ვეღარ შეძლეს წინადადებების კონსტრუირებაც კი, აღარაა ლაპარაკი მეტყველებაზე თავისი სრული გაგებით. რა თქმა უნდა, ამ საკითხს ჩვენს თემასთან პირდაპირი კავშირი არ აქვს, მაგრამ ამ მაგალითმა კიდევ ერთხელ დამარწმუნა საკითხის მნიშვნელობასა და სერიოზულობაში. 2-3 წლის წინ ჩემს სკოლაში პრაქტიკაზე იყვნენ ფილოლოგიური ფაკულტეტის მაგისტრანტები, მოტივირებული, მონდომებული, მეცადინე გოგონები. გაკვეთილის დაგეგმვასაც სერიოზულად მიუდგნენ, გეგმა-კონსპექტიც გაამზადეს, მაგრამ სერიოზული პრობლემა შეექმნათ მეტყველების გამო – ან მასწავლებლის მაგიდას მიჯაჭვულები მასალის ახსნისას ზეპირად ამბობდნენ გამზადებულ ტექსტს, ან ეძებდნენ სიტყვებს, უშვებდნენ შეცდომებს. როგორც თავად აღნიშნეს, მოყოლებული სკოლიდან, ყველა გამოცდა თუ ჩათვლა წერილობით ჰქონდათ ჩაბარებული და, საერთოდ, იმ მომენტამდე არ ჰქონიათ ზეპირი გამოსვლა. შეიძლება პრობლემა ცოტა გაზვიადებულად წარმოაჩინეს, მაგრამ სიმართლესთან ახლოს იყო. ამასთანავე, ზეპირმეტყველების განვითარებასაც, ისე როგორც ყველაფერ სხვას, დაწყებით სკოლაშივე უნდა ჩაეყაროს საფუძველი. მე-4 კლასი, გარკვეულწილად, გარდამტეხი ასაკია დაწყებით სკოლაში. მოსწავლეს დაძლეული აქვს სასკოლო-სოციალური უნარების განვითარებაში არსებული პრობლემები, შეძენილი აქვს აუცილებელი სასწავლო უნარ-ჩვევები და სასწავლო პროცესის უმეტესი წილი სწორედ შედარებით რთული კოგნიტური უნარების განვითარებაზეა ორიენტირებული. რა უნდა შეძლოს მე-4 კლასის მოსწავლემ სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ზეპირმეტყველების შედეგებისა და ინდიკატორების მიხედვით: უნდა ამოიცნოს და გაარჩიოს სასაუბრო ტექსტის სახეები – აღწერა, თხრობა, კამათი, დიალოგი; შინაარსის გადმოცემისას იყენებდეს თხრობასა და აღწერას; განასხვავებდეს პირდაპირ და ირიბ ნათქვამს და იყენებდეს მათ; იყენებდეს ავტორისეულ ლექსიკას; თანმიმდევრობით ალაგებდეს ფაქტებსა და მოვლენებს; გადმოსცემდეს არამხატვრული ტექსტის შინაარსს. გამოხატოს საკუთარი დამოკიდებულება მხატვრული ტექსტის მიმართ – მსჯელობდეს მოვლენებსა და პერსონაჟებზე, გადმოსცემდეს თავის დამოკიდებულებას; მონაწილეობდეს საბავშვო ფილმის, მულტფილმის, სპექტაკლის განხილვაში; ამას ერთვის სამეტყველო ქცევა და ენობრივ გრამატიკული საშუალებების გამოყენება. ამის მიღწევა ადვილი არ არის.

ზეპირმეტყველების განვითარების საწყისი ეტაპისათვის მნიშვნელოვანია ისეთი აქტივობები, რომლებიც ზეპირმეტყველებას წარმართავს ვერბალური ნიმუშის მიხედვით. ამ შემთხვევაში, ვგულისხმობ ტექსტის თხრობით დასწავლას. ბავშვი ხშირად კარგად განვითარებული მეხსიერების ხარჯზე თითქმის ზეპირად სწავლობს ტექსტს. აქ აუცილებელია, ბავშვის ეს უნარი ჩვენც აქტიურად გამოვიყენოთ და მივცეთ მრავალფეროვანი ტექსტების დასწავლის საშუალება, გამოვიყენოთ არა მარტო გაკვეთილის მოყოლის აქტივობა, არამედ სასკოლო სპექტაკლები, ბუნების დაცვასთან, ეთნოგრაფიასთან, საყვარელი მწერლების ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებული ღონისძიებები და ა.შ. ამით მოსწავლე იმდიდრებს ლექსიკას, იმახსოვრებს სწორ ენობრივ ფორმებს, კონსტრუქციებს, რომლებიც თანდათან გაშინაგნდება. პარალელურად, მოსწავლე უნდა ასრულებდეს შერეულ აქტივობას, ვგულისხმობ ნასწავლ ტექსტზე კითხვებზე პასუხს, სადაც მოსწავლეს ნაწილობრივი დამოკიდებულება აქვს ტექსტთან, რადგან შეკითხვაში თითქმის ყოველთვის პასუხის კონსტრუქციაა ჩადებული. დამოუკიდებელი აქტივობის გზაზე გადადგმული ნაბიჯია მასწავლებლის მიერ წაკითხული უცხო ტექსტის შესახებ საკუთარი ემოციებისა და დამოკიდებულებების გამოხატვა. სამუშაოს გამრავალფეროვნებისათვის, მუდამ ერთი ტიპის ლექსიკაში რომ არ ვიტრიალოთ, სასურველია, ტექსტთან მიმართებაში სავარაუდო ახალი ლექსიკური ერთეულები იყოს ჩამოწერილი. სასურველია, მოსწავლემ სხვადასხვა ტიპის ტექსტის – თხრობითი, აღწერითი, დიალოგის, კონსტრუირება შეძლოს დამოუკიდებლად. ამ მიზნით ორ კვირაში ერთხელ მაინც ერთი გაკვეთილი დავუთმოთ ახალ თავისუფალ თემაზე საუბარს, მაგალითად: სტუმრად თეატრში; შეიძლება მასწავლებელმა გამოიყენოს სპეციფიკური ლექსიკის ჩამონათვალი, ფოტოსურათები: თეატრის ინტერიერი, ეპიზოდი საბავშვო სპექტაკლიდან, პერსონაჟების სურათები. მოსწავლეების ნაწილს ვთხოვოთ, აღწერონ თეატრი, ნაწილს – პერსონაჟები, ნაწილმა შეთხზას ამბავი, თუ რა ხდება სცენაზე, ნაწილმა შექმნას დიალოგი. ამგვარი სამუშაო სახალისოცაა, შემოქმედებითიც და ნამდვილად ემსახურება დამოუკიდებელ მეტყველებით აქტივობას, ასევე ამგვარი სამუშაო ემსახურება მოსწავლეთა თვალსაწიერის გაფართოებას. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა ქართული მულტფილმების ჩვენება და ანალოგიური აქტივობის განხორციელება. ჯერ ერთი, იგი დაამკვიდრებს განსხვავებულ გემოვნებასა და ღირებულებებს. ჩვენება შესაძლებელია კომპიუტერშიც მოვაწყოთ. ძალიან საინტერესო იყო ქართული მულტფილმის „თოვლის გუნდის“ ჩვენება. ძალიან სახალისო და ბავშვურია, სიუჟეტი – ცოცხალი და ცხადია, მინიმალური ტექსტუალური მასალით იშლება და მოსწავლის დამოუკიდებელ ვერბალურ აქტივობას უწყობს ხელს. პერსონაჟები არიან ძალიან შთამბეჭდავი და დასამახსოვრებელი. ერთ ეპიზოდში, როდესაც გუნდა პატარა გოგონას ხვდება, მთლიანად მიმიკებითაა გადმოცემული მათი გაცნობა და დამეგობრება. ძალიან სახალისოა მათი გართობის სცენები, გუნდის გაქრობა და მისი წვიმად დაბრუნება. ფილმის ჩვენების შემდეგ შესაძლებელია სხვადასხვა ტიპის ტექსტების გამოყენება ზეპირმეტყველებაში: შთაბეჭდილებების გამოხატვა, პერსონაჟთა აღწერა, გაცნობა – დიალოგი გოგონასა და გუნდას შორის, შინაარსის გადმოცემა; ბუნების სურათების აღწერა – თოვლიანი მთები, მინდორი; ზოგჯერ სახელმძღვანელოში შეტანილია ის ლიტერატურული ნაწარმოებები, რომლებზეც ფილმიცაა გადაღებული, სასურველია ვაჩვენოთ ფილმი, ან ნაწყვეტი და დავგეგმოთ ზეპირმეტყველების განვითარების გაკვეთილი; საინტერესოდ მიდის პოეტური ნაწარმოებების პერიფრაზირება და შთაბეჭდილებების გადმოცემა.

თუ გვინდა, რომ მოსწავლეს განვუვითაროთ ზეპირმეტყველების კულტურა, ხშირად უნდა გამოვიყენოთ ისეთი აქტივობები, რომლებიც დამოუკიდებელ მეტყველებით უნარებს გააქტიურებს. ამ თვალსაზრისით, ძალიან კარგია ის ფაქტი, რომ დაწყებით სკოლაში ეროვნულმა სასწავლო გეგმამ სკოლა დაავალდებულა, იზრუნოს წიგნიერებაზე და დაგეგმოს კლასგარეშე კითხვის საათი. მასზე მიბმული სამუშაოები ძალიან შეუწყობს ხელს ზეპირმეტყველების უნარის განვითარებას. საპრეზენტაციო თემათა შორის ძალიან საინტერესო და შედეგიანია ის, რომ დაინიშნოს წიგნის დღე, რიგრიგობით ყველა მოსწავლემ წარმოადგინოს პრეზენტაცია: „ჩემი საყვარელი წიგნი“. პრეზენტაციამდე განისაზღვროს, ვინ რომელი წიგნის წარმოდგენას აპირებს, დაენიშნოს თანაავტორი, რომელსაც დაევალება კითხვების მომზადება და დასმა, შეფასება თანაკლასელის გამოსვლისა. ამასთანავე პრეზენტატორს დაევალოს მოკლე ინფორმაციის წარმოჩენა მწერალზე, გადმოსცეს მოკლედ – რას მოგვითხრობს წიგნი, აირჩიოს საყვარელი პერსონაჟი და ისაუბროს მასზე, აღწეროს იგი. უპასუხოს თანაავტორის კითხვებს, რამდენიმე მოსწავლემ გამოთქვას მოსაზრება პრეზენტაციასთან დაკავშირებით; კლასში გამოკრული იყოს პრეზენტაციის შეფასების კრიტერიუმები. დასკვნით განმავითარებელ შეფასებაში მასწავლებელმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილოს ზეპირმეტყველების უნარებზე.

კიდევ ერთხელ გავიხსენეთ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, დავასტრუქტურეთ ჩვენი სამუშაო, მოვიყვანეთ რამდენიმე მაგალითი. ყველა პროფესიათა შორის მასწავლებელი ყველაზე ახლოს დგას ხელოვნებასთან, ამიტომ ნებისმიერმა აზრმა შეიძლება ჩვენში სრულიად ახალი საინტერესო იდეა წარმოშვას. ამით ჩვენ ვთანამშრომლობთ, სტიმულს ვაძლევთ და ვაძლიერებთ ერთმანეთს.

მარინე დემეტრაშვილი

სამოქალაქო განათლება

ლია გაკვეთილის გეგმა

შრომის ბაზარი

სამოქალაქო განათლება უდიდეს როლს ასრულებს მოზარდის აქტიურ და პასუხისმგებლიან პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესში. თემები, რომლებსაც სამოქალაქო განათლების პედაგოგები ამ საგნის სწავლებისას მიმოვიხილავთ, მართლაც ხელს უწყობს მოსწავლეებში, მე ვიტყოდი, სასიცოცხლოდ აუცილებელი უნარების ჩამოყალიბებას. ერთ-ერთი ასეთი თემაა: „შრომის ბაზარი“ (შედის მე-9 კლასის სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელოში, ნინო ტალახაძის ავტორობით). ამ თემას ყოველთვის დიდი ყურადღებით ვეკიდები.

მოგეხსენებათ, მე-9 კლასი სკოლის საბაზო საფეხურის დამამთავრებელი კლასია. ზოგიერთი მოსწავლე ამ საფეხურზე ტოვებს სკოლას. მათ უნდა შეძლონ სწორი არჩევანის გაკეთება, პროფესიის სწორად არჩევა. მე ვცდილობ გავაცნო ჩემს მოსწავლეებს პროფესიათა სამყარო და ვეხმარები, სწორი ორიენტაცია გააკეთონ შრომის ბაზარზე, აირჩიონ ისეთი პროფესია, რომელიც მოთხოვნადია დღეს ჩვენს ქვეყანაში. პროფესიის სწორად არჩევა წარმატებულ და თვითრეალიზებულ ადამიანად ჩამოყალიბებას ნიშნავს. თვითრეალიზებული ადამიანი კი აგრესიული არ არის, ბედნიერია და ქვეყანაც, სადაც ასეთი ადამიანები მრავლადაა, უფრო წინ წასული და შემდგარია.

ჩვენს ქვეყანაში უმუშევრობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა, თუმცაღა, მეორე მხრივ, არის პროფესიები, სადაც კადრების სერიოზული დეფიციტია. ხშირად გაიგებთ საყვედურს ჩვენი მოქალაქეებისგან აქ მომუშავე უცხოური კომპანიების მისამართით: „ისინი მხოლოდ თავისი ქვეყნის მოქალაქეებს ასაქმებენ“. ხშირ შემთხვევაში კი, ეს იმიტომ ხდება, რომ საქართველოში ძალიან ძნელია თავისი საქმის კარგი მცოდნე, თუნდაც პროფესიონალი ელექტრიკოსის, მოძებნა. ასევე ყურადღებას ვამახვილებ იმ ფაქტზე, რომ სკოლის ან უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, აუცილებელი არ არის სახელმწიფოს დაველოდოთ როდის დაგვასაქმებს. ჩვენ შეგვიძლია წამოვიწყოთ ჩვენი საქმე და თვითონ ვიყოთ სხვა ადამიანების დამსაქმებლები (ამისათვის მეწარმის საბაზისო უნარ-ჩვევებსაც ვეუფლებით, ამ კურსის ფარგლებში).

ვცდილობ, მშობლებიც აქტიურად იყვნენ ჩართული ამ საგაკვეთილო ციკლში. ერთია, მათ რა პროფესიის სურთ იხილონ თავიანთი შვილი და მეორეა, ნახონ და რეალურად შეაფასონ მისი უნარები და შესაძლებლობები. მახსენდება ერთი პროფესორის წუხილი: სტუდენტი, რომელიც სწავლობდა იურიდიულ ფაკულტეტზე, წარუმატებელი იყო, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან კარგად აზროვნებდა, ძალიან კარგად წერდა და არც თუ ურიგო პოეტიც იყო, იმ ეტაპისთვის. თავსატეხი ამოიხსნა მას შემდეგ, რაც ეს პროფესორი დაუკავშირდა სტუდენტის დამრიგებელს და აღმოაჩინა, რომ მას სულ სხვა რამ აინტერესებდა და პროფესია არასწორად იქნა არჩეული. შემდეგ მშობლებიც ჩართეს ამ პროცესში და სთხოვეს, მათ შვილს შეეწყვიტა იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლა და გაეკეთებინა სწორი არჩევანი. ამჟამად ის წარმატებული და შემდგარი ადამიანია. ეს მაგალითი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ მართლაც დიდია მასწავლებლის და მშობლის როლი შრომის ბაზარზე მოზარდის სწორ ორიენტირებაში.

პედაგოგთა დასახმარებლად

ღია გაკვეთილის გეგმა

მიზანი:

ცოდნა ისეთი ტერმინებისა, როგორიცაა: უმუშევრობა, დასაქმება, სამუშაო ძალა, სამუშაო ძალის გარეთ მყოფი, უმუშევრობის დონე.

დამოკიდებულება:

მოსწავლე აცნობიერებს, რომ „უმუშევრობა“ გლობალური პრობლემაა და რა უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ თვითონაც, სკოლიდან გასვლის ან სკოლის დამთავრების შემდეგ, უმუშევართა რიგებში არ აღმოჩნდეს (როგორ უზრუნველყოს საკუთარი დასაქმება.)

უნარ-ჩვევები:

გამოიმუშაოს საზოგადოებაში თვითდამკვიდრების უნარ-ჩვევა და შეძლოს კრიტიკულად შეაფასოს საკუთარი მომავალი საქმიანობის გეგმა.

გაკვეთილის გეგმა

- მოკლე მიმოხილვა – რა არის ზოგადად ბაზარი და რას ნიშნავს „შრომის ბაზარი“ (5წთ.)
- მაპროვოცირებელი შეკითხვების დასმა (15წთ.)
- სიტუაციური ამოცანა (ტერმინთა განმარტება) (15წთ)
- შედეგების შეჯამება (5წთ.)
- პრეზენტაცია (5წთ.)

კითხვები:

1. რა ასოციაციას იწვევს სიტყვა „უმუშევრობა“?

ცხოვრების დონის შემცირება; უიმედობა, ოჯახური კონფლიქტები, გაჭირვება, მათხოვრობა, ლოთობა, ქურდობა, შიმშილი, შიში, სამუშაოს ძებნა, ნერვიულობა.

ა. ყველა კითხვა უარყოფითი ემოციის მატარებელია, ახსენით მიზეზი.

2. რა შეიძლება იყოს ადამიანის უმუშევრობის მიზეზი?

გაუნათლებლობა, დაბალი თვითშეფასება, მოთხოვნის შესაბამისი უნარების არქონა, დაბალი ანაზღაურება, გამოცდილების არქონა, სამუშაოს არარსებობა, ინფორმაციის ნელი გავრცელება, ინფორმაციაზე მიუწვდომლობა, სიზარმაცე.

3. რა მიგაჩნიათ ქვეყანაში მასობრივი უმუშევრობის მიზეზად?

ფაბრიკა-ქარხნების დახურვა (რეცესია), მშპ-სთან შედარებით მოსახლეობის რიცხოვნობის სწრაფი ზრდა, არაჯანსაღი კონკურენცია, ბიზნესის წამოწყების სირთულე, ომები, ქვეყნის პოლიტიკა, არასტაბილური გარემო, რაც აფერხებს ინვესტიციებს.

4. რა მნიშვნელობა აქვს შრომის ბაზარს თითოეული მოქალაქისათვის და სახელმწიფოსათვის.

სიტუაციური ამოცანის განხილვა მოხდა ჯგუფებში. შეიქმნა 4-მოსწავლიანი 6 ჯგუფი, სადაც ერთი მათგანი იყო პრეზენტატორი, ერთი კი – მდივანი. ჯგუფური სამუშაოს დროს შეჯამდა მასალა. ერთი ჯგუფის მიერ განმარტებული ტერმინის გამეორება ხდებოდა სხვა ჯგუფების მიერაც.

უმუშევრობის დონის უკეთ გასაგებად, შევთავაზე ამოცანა.

დავსვი ასეთი კითხვა: რისი გაკეთება შეუძლია თითოეულ ადამიანს იმისათვის, რომ საკუთარი დასაქმება უზრუნველყოს.

ყველა მოსწავლემ სათითაოდ დააფიქსირა თავისი აზრი პატარა ფურცელზე. შემდეგ ეს ფურცლები მივაკარით ფლირ-ჩატზე და ყველას აზრს გავეცანით.

ბოლოს დავსვი ასეთი შეკითხვა, როგორ გესმით მაკედონელის ეს სიტყვები: „შრომაზე მეფური და ფუფუნებაზე მონური არაფერიაო“.

ერთ-ერთმა მოსწავლემ გააკეთა მოკლე პრეზენტაცია – ბოლო 10 წლის განმავლობაში საქართველოში უმუშევრობის სტატისტიკა.

კონკურენცია

ასევე მნიშვნელოვანი თემა „კონკურენცია“ წინა თემის ერთგვარი გაგრძელებაა. სად შეიძლება მე-9 კლასელი მოსწავლე შეხვდეს კონკურენციას? დამეთანხმებით, რომ ყველგან: სკოლაში, ოლიმპიადებზე, წრეებზე (ცეკვა, მუსიკა), ასევე სხვადასხვა კონკურსებზე. დიდი კონკურენციაა შრომის ბაზარზე, სამუშაოს დასაწყებად. კონკურენციას რომ გაუძლო, შენი საქმის პროფესიონალი უნდა იყო და ფლობდე გარკვეულ უნარებს. კონკურენცია, რასაკვირველია, აუცილებლად ჯანსაღი უნდა იყოს. გარდა შრომის ბაზრისა კონკურენცია არსებობს, ასევე, პროდუქტების ბაზარზეც (მყიდველებსა და გამყიდველებს) შორის. არსებობს საბაზრო კონკურენციის 4 ტიპი: თავისუფალი, მონოპოლისტური, ოლიგოპოლია და მონოპოლია.

ბაზარზე კონკურენციის შედეგად მომხმარებელი რჩება მოგებული, რადგან მას მაღალი ხარისხის პროდუქტი შედარებით დაბალ ფასად შეუძლია მიიღოს. შრომის ბაზარზე კონკურენცია კი ადამიანს განვითარებასა და სრულყოფაში ეხმარება. მონოპოლია კი კანონით დასჯადია. ჩვენს ქვეყანაში არსებობდა ანტიმონოპოლიური სამსახური. შემდეგ ის გააუქმეს და გვაქვს ანტიმონოპოლიური კანონები, რომლებიც მონოპოლიის ზემოქმედებისაგან გვიცავს. არსებობს ლეგალური მონოპოლია. მათ მიეკუთვნება ლიცენზიებით, პატენტებითა და საავტორო უფლებებით დაცული საწარმოები.

ინტელექტუალური საკუთრების ცნება მრავალ საინტერესო იურიდიულ და ეთიკურ საკითხს მოიცავს, რომელიც მოსწავლეებმა შეიძლება შეისწავლონ და განიხილონ. მაგალითად, უნდა ჰქონდეთ თუ არა მათ უფლება, მაისურებზე პოპულარული მულტფილმების პერსონაჟები ეხატოთ? (აქვთ ამის უფლება); თუ გაუკეთებიათ ოდესმე ქირით აღებული ვიდეოფილმის ასლი ან გადაუწერიათ კომპიუტერული პროგრამა? რას გვეუბნება კანონი ამგვარი ქმედებების შესახებ? (ეს არის საავტორო უფლებების დარღვევა.)

გაკვეთილის გეგმის ბოლოს მაქვს პატარა იმიტირებული სასამართლო პროცესი (აქტივობა), რომელიც მოსწავლეებს ეხმარება, უკეთ გაერკვნენ ბაზრის ოთხივე სტრუქტურაში და გამოავლინონ მონოპოლისტი.

ვინ არის მონოპოლისტი?

გამომძიებელი გიორგი ცდილობს გაარკვიოს ეჭვმიტანილთაგან, რომელია მონოპოლისტი. მან იცის, რომ თითოეული მათგანი წარმოადგენს ფირმას, რომელიც მოქმედებს ბაზრის სხვადასხვა სტრუქტურაში, მაგრამ კერძოდ რომელში? მოისმინეთ თითოეული მათგანის არგუმენტები და, გამორიცხვის მეთოდის საშუალებით, დაეხმარეთ გამომძიებელს განსაზღვროს, რომელი ბაზრის სტრუქტურაში მოქმედებს თითოეული ეჭვმიტანილი.

ეჭვმიტანილი	ბაზრის სტრუქტურა
1	
2	
3	
4	
5	

პირველი ეჭვმიტანილი: „მომისმინეთ, მე არ ვარ მონოპოლისტი. მე დიდ კონკურენციას ვუძლებ. თუ შევეცდები ფასის აწევას, ჩემს ბიზნესს გიგანტური ინდუსტრიები ჩაყლაპავენ. არა ბატონო! მე დაველოდები, სანამ ისინი ფასს აუწევენ, ხოლო შემდგომ უკვე მეც მათსავით მოვიქცევი (თავისუფალი კონკურენცია).“

მეორე ეჭვმიტანილი: „მე უფრო მეტი პრობლემები მაქვს, ვიდრე თქვენ. ჩემნაირი მაღაზიები თითქმის ყოველდღე იხსნება. მე მიხდება უამრავი ფულის ხარჯვა რეკლამაზე, რათა ხალხი იმაში დავარწმუნო, რომ ჩემი მაღაზია უნიკალურია და განსხვავდება ყველა დანარჩენისაგან (მონოპოლისტური კონკურენცია).“

მესამე ეჭვმიტანილი: „მე ვერ ვაძლევ თავს იმის უფლებას, რომ რეკლამაზე ფული ვხარჯო. ეს გადაყლაპავს იმ ჩემს პატარა მოგებას, რომელსაც ძლივს ვიღებ. გარდა ამისა, რეკლამას აზრი არ აქვს, რადგან ჩემი პროდუქცია ისეთივეა, როგორიც სხვების (თავისუფალი კონკურენცია).“

მეოთხე ეჭვმიტანილი: „ჩემი პროდუქტი კი არავის პროდუქტს არ არ ჰგავს. იგი განსხვავებულია. მე მუდმივად ვმუშაობ იმაზე, რომ ჩემი ფირმა ყოველთვის პირველი იყოს და კონკურენციამ მას ვერაფერი დააკლოს, მაშინ როცა სხვები მზად არიან ერთმანეთს ყელში სწვდნენ, ორგანიზებული ბაზარი და სამართლიანი ფასი – აი, ჩვენი დევიზი (ოლიგოპოლია).“

მეხუთე ეჭვმიტანილი: „იცოდეთ, მე მონოპოლისტი არ ვარ! მე ვიცი, რომ ჩვენს ბაზარზე მოხვედრა მეტად მკაცრი გამოცდაა. აქ რეკლამაზე უზარმაზარი დანახარჯები მიდის. მთავარია, მარკა იყოს ცნობილი. მე არ ვარ დამნაშავე (მონოპოლია).“

დავალება: დაწერეთ თხზულება „კონკურენცია ჩემ გარშემო“ (5წთ.).

კონფლიქტები

კონფლიქტი ჩვენი ცხოვრების თანმდევი პროცესია, კონფლიქტი – არც კარგი და არც ცუდი. ზოგჯერ კონფლიქტს თან ახლავს დეპრესია, სტრესი, ფიზიკური ზიანი. ამ შედეგების თავიდან ასაცილებლად, კარგი იქნება, თუ მოსწავლეები გაიაზრებენ კონფლიქტის დადებით მხარეებს და ისწავლიან კონფლიქტების მართვას მათ სასარგებლოდ.

პიროვნული და საზოგადოებრივი კონფლიქტები

მიზანი: მოსწავლემ გააცნობიეროს, რა არის კონფლიქტი და რაში გვეხმარება იგი. გაიაზროს კონფლიქტის დადებითი მხარეები და გააანალიზოს, როგორ გამოიყენოს კონფლიქტი თავის სასარგებლოდ, ასევე, გააცნობიეროს მედიაციის როლი კონფლიქტის მოგვარებაში.

რესურსები: ფურცლები, კალმები, მარკერები.

საჭირო დრო: 1 გაკვეთილი.

I – მასწავლებელი სვამს კითხვას: რა ასოციაციას იწვევს სიტყვა „კონფლიქტი“? ადგენს აზრობრივ რუკას (10 წუთი)



ხომ არ არის ნეგატიური ყველა სიტყვა, რომელიც კონფლიქტის გარშემო წერია?

II – მოსწავლეებს ვთხოვ მოიყვანონ კონკრეტული კონფლიქტური სიტუაციების მაგალითები, რომლებიც თავად შეემთხვათ ან რომელსაც შესწრებიან. დაფიქრდნენ, რამდენად გადაჭრილი იყო თითოეული კონფლიქტი. შემომაქვს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ყველა კონფლიქტს ძალადობამდე არ მივყავართ. არსებობს კონფლიქტური სიტუაციები, რომლებიც კომპრომისით სრულდება. მაგ:

„17 წლის ანას უნდა მეგობრის გამოგზავნილ ფილმს უყუროს, მაშინ როცა, მის 15 წლის ძმას, ირაკლის სატელევიზიო პროგრამის ყურება სურს.“ მოსწავლეები დაფიქრდებიან, როგორ მიაღწიონ ანამ და ირაკლიმ კომპრომისს.

ბოლო 2 აქტივობას დაეთმობა 10-10 წუთი.

III – სიტუაციური ამოცანა. 10 წუთი (მე-9 კლასის სამ. განათლება, გვ 49).

გააანალიზებენ კონფლიქტის მიზეზებს.

კონფლიქტის მიზეზებია:

I. უთანხმოება განსხვავებების გამო: 1, 2, 10, 11, 15, 16.

II. ინფორმაციის გაცვლის პრობლემა, 3, 4, 6, 7, 12.

III. გაღიზიანება, 4, 5, 13, 14.

IV. შეჯიბრი (კონკურენცია), 15, 17.

V. უსამართლობა, 8, 9, 14.

კონფლიქტის გამომწვევ მიზეზთა რომელ ჯგუფს უფრო მიესადაგება ჩამოთვლილი სიტუაციები: ჩასვით მოცემული სიტუაციების რიგითი ნომერი ცხრილის შესაბამის სვეტში.

1. შენ გინდა, რომ საერთო ფულით ტელევიზორი ვიყიდოთ, მე კი – მაცივარი;

2. შენ გგონია, რომ მასთან მეგობრობა ცუდია, მე კი ის მომწონს;

3. მეგონა, შენ იყავი პასუხისმგებელი სამზარეულოს დალაგებაზე;

4. ვეღარ გავიგე, რომელს გვევალება კარის დაკეტვა?!

5. წადი ჩემი ტერიტორიიდან!

6. თავიდან უნდა გეთქვა, რა გინდოდა ჩემგან;

7. შენ არ მითხარი, რომ კლასში უნდა გვენახა ერთმანეთი?

8. მე მზად ვარ დაგარტყა, შენ კი ამტკიცებ, რომ ჩვენ შორის ყველაფერი კარგად არის?!

9. უკვე არავინ სცემს პატივს ჩემს გადაწყვეტილებას;

10. ის არასოდეს უსმენს სხვას, მან სხვისი აზრის გათვალისწინება არ იცის;

11. შენ ყველაზე არაშემოქმედი ადამიანი ხარ, ვისთანაც კი ოდესმე მიმუშავია;

12. რატომ მოიქეცი ასე? „იმიტომ, რომ შენ მითხარი, ასე მოვქცეულიყავი“;

13. ახლა ამაზე ფიქრის დრო არ მაქვს;

14. ვინ შეჭამა შენი ნამცხვარი?

15. რადაც არ უნდა დაგიჯდეს, ის ხალხი ჩვენი ჯგუფიდან უნდა გავაძევოთ;

16. მე ვფიქრობ, ქალებს უნდა ჰქონდეთ ხმის უფლება;

17. არ მესმის, რატომ მიიღე შენც ათიანი საკონტროლო წერაში?!

განმარტებები: პირველი, მე-2, მე-10, მე-11, მე-15, მე-16 სიტუცია მიეკუთვნება კონფლიქტის გამომწვევ I ჯგუფს. ეს არის უთანხმოება განსხვავებების გამო. შეიძლება მათ ჰქონდეთ განსხვავებული ღირებულებები, შეხედულებები, სურვილები, მაგ.: პირველ სიტუაციაში არის განსხვავებული სურვილები, მე-2 და მე-11 სიტუაციაში განსხვავებული შეხედულებები, მე-10, მე-15 და მე-16 სიტუაციაში კი განსხვავებული ღირებულებები.

ხოლო რაც შეეხება მე-3, მე-4, მე-6, მე-7, მე-12 სიტუაციებს, აქ საქმე გვაქვს კონფლიქტის გამომწვევ მეორე ჯგუფთან. ეს ინფორმაციის გაცვლის პრობლემაა.

მე-4, მე-5, მე-13, მე-14 სიტუაცია უფრო მიესადაგება კონფლიქტის გამომწვევი მიზეზების მესამე ჯგუფს (გამომდინარე წინადადებების დაბოლოებიდან – ძახილის, კითხვა-ძახილის და ა.შ.) და როცა ამბობს „ახლა ამაზე ფიქრის დრო არ მაქვს“, აქაც საქმე გვაქვს ერთგვარ გაღიზიანებასთან.

მე-15 და მე-17 სიტუაცია კი კონფლიქტის გამომწვევ მეოთხე ჯგუფს მიეკუთვნება.

საუბარია შეჯიბრზე, როდესაც ხალხის ჯგუფიდან გაძევება სურს, ასევე ეჯიბრება მეორე ადამიანს, როდესაც ეუბნება „რატომ მიიღო ათიანი საკონტროლო წერაში“.

მე-8, მე-9 და მე-14 სიტუაციები მეხუთე ჯგუფს მიეკუთვნება (პატივს, რომ აღარ სცემენ მის გადაწყვეტილებას და, აგრეთვე, ნამცხვარი რომ შეუჭამეს, დაბოლოს, მზადყოფნა დასარტყმელად; ეს ყველაფერი უსამართლობაა).

ერთი და იგივე სიტუაცია შეიძლება კონფლიქტის გამომწვევ რამდენიმე ჯგუფში მოვათავსოთ.

IV – შეჯამება: რა შედეგამდე შეიძლება მიგვიყვანოს კონფლიქტმა? (5 წთ.).



საგანმანათლებლო კერა

ჩემი მშობლიური სკოლა 95 წლისაა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ წიფნარის საჯარო სკოლა 1920 წელს დაარსდა, დაწყებითი სკოლის სტატუსით, ამავე სოფლის მკვიდრის, აქვსენტი კორიფაძის ინიციატივით და მისივე მონაწილეობით. ეკლესიად აშენებულ პატარაგუმბათიან შენობას რესტავრაცია გაუკეთდა და შიგ განთავსდა დაწყებითი სკოლა, რომელსაც 1930 წლამდე თავად აქვსენტი კორიფაძე ხელმძღვანელობდა. შემდეგ ის სასწავლებლად მოსკოვში გაემგზავრა, სკოლის ხელმძღვანელობა მის მეუღლეს, ქეთო სიხარულიძეს დაევალა.

ჩემს მშობლიურ წიფნარის დაწყებით სკოლაში პედაგოგად მუშაობა 1986 წელს დავიწყე. 1987 წელს დავინიშნე სკოლის გამგედ. ამ დროს რაიონში თოთხმეტი დამოუკიდებელი დაწყებითი სკოლა არსებობდა, რომელსაც დაწყებითი განათლების მეთოდისტი ჟუჟუნა კუტუბიძე ხელმძღვანელობდა. უნდა აღინიშნოს, რომ სკოლა სასწავლო სააღმზრდელო მუშაობითა და სასკოლო თუ სარაიონო კლასგარეშე ღონისძიებებით ყოველთვის გამოირჩეოდა და მისი წარმატებების შესახებ ხშირად რაიონულ თუ რესპუბლიკურ გაზეთებშიც იწერებოდა. მნიშვნელოვანი ისაა, რომ ასეთ წარმატებებს ვაღწევდით სრულიად არადამაკმაყოფილებელ სასწავლო გარემოში, არასტანდარტულ, ამორტიზებულ შენობაში, რომელსაც შესაძლებლობის ფარგლებში ვუტარებდით სარემონტო სამუშაოებს და ვიძენდით აუცილებელ სასკოლო ინვენტარს განათლების განყოფილების გამგის, ლიანა თოდუას და საკოლმეურნეო გაერთიანების ხელმძღვანელის, კორნელი კუკულავას თანადგომითა და უშუალო დახმარებით.

1990 წელს, სოფელში აჭარიდან ოჯახების ჩამოსახლების გამო, მოსწავლეთა კონტინგენტი საგრძნობლად გაიზარდა. სასოფლო საბჭოს თავმჯდომარის, სერგო მეფარიშვილის, რაიონის განათლების განყოფილების გამგის, ლიანა თოდუას მხარდაჭერითა და განათლების მინისტრის მოადგილის, რამაზ ხუროძის დიდი ძალისხმევით, დაწყებითი სკოლის ბაზაზე, გაიხსნა არასრული საშუალო (9-წლიანი) სკოლა. მუშაობა იმავე შენობაში გავაგრძელეთ, თუმცა იმთავითვე დავიწყეთ სკოლის ახალი შენობისათვის ზრუნვა. დაპირებები ყველა ხელისუფლებისაგან იყო, მაგრამ დაპირება დაპირებად რჩებოდა. უამრავი იყო სხვა სირთულეები და ხელის შემშლელი პირობები: წლების განმავლობაში ვმუშაობდით უხელფასოდ, ამავე დროს, გვეტი სწორედ წარმატებული მუშაობა იყო.

სკოლა თანდათან კომპლექტდებოდა ადგილობრივი მაღალკვალიფიციური, პროფესიონალი პედაგოგებით, თუმცა მაინც იყო საჭირო რამდენიმე სხვადასხვა პროფესიის პედაგოგის მიღება რაიონიდან თუ მეზობელი სოფლებიდან. მათი შენარჩუნება, უხელფასობისა და უტრანსპორტობის პერიოდში, ძალიან რთული იყო, მაგრამ ამ პრობლემის გადაჭრაც სკოლისა და მოსწავლეების სასარგებლოდ ხდებოდა.

მეტად რთული იყო სკოლის შენობის შენარჩუნება, რომელსაც აუცილებელ სარემონტო სამუშაოებს ჩვენივე სახსრებით ვუტარებდით. წლების განმავლობაში საგზაოდან ნათხოვარ ვაგონშიც გვყავდა კლასი, ვიყენებდით ყოფილი სასოფლო ბიბლიოთეკის შენობას, შემდეგ კი – ყოფილი საბავშვო ბაღის შენობას. ვიძენდით აუცილებელ ინვენტარსაც და, აღნიშნული პირობების მიუხედავად, სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობით თუ კლასგარეშე ღონისძიებებით, სკოლა წარმატებული იყო (რაიონში არსებული14 დამოუკიდებელი დაწყებითი სკოლიდან, მხოლოდ წიფნარის სკოლა გადარჩა და თანაც 9-წლიანად გადაკეთდა). იგი ერთადერთია, რაიონის სკოლებს შორის, რომელმაც განათლების სამინისტროსგან 3 000-ლარიანი ჯილდო დაიმსახურა საგნობრივ ოლიმპიადებში მონაწილეობისათვის (გამარჯვებული მოსწავლე – ანნა ანდღულაძე, მასწავლებელი – გოჩა ჟღენტი), ასევე მხოლოდ წიფნარის სკოლას აქვს ბრწყინვალე გამარჯვება მოპოვებული პროექტში „ლეონარდო 2012“, მოსწავლეები – ლია ჟღენტი და თამთა კიკვაძე დაჯილდოვდნენ დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით – ლეპტოპებით და მობილური ტელეფონებით (ხელმძღვანელი – გოჩა ჟღენტი).

ჩვენი სკოლის მოსწავლეები, ყოველწლიურად, ხდებიან მოსწავლეთა რესპუბლიკური შემოქმედებითი კონფერენციების, კლსგარეშე მხატვრული და სპორტული ღონისძიებების კონკურსებში გამარჯვებულები, დიპლომებისა და სიგელების მფლობელები; ჩართული არიან სასკოლო თუ საერთაშორისო პროექტებში, თამაშებში („კენგურუ და ჩვენ“, მასწავლებელი – ბელა ცინცაძე; პროექტი „საქართველოს ფორუმი-2013“, ხელმძღვანელი – გოჩა ჟღენტი; შეხვედრა გერმანიის ელჩთან, მოსწავლე – ნათია კიკვაძე, მასწავლებელი – დარეჯან ჟღენტი).

9 -წლიანი სკოლის გახსნა

სკოლის დაარსება

სასკოლო ღონისძიებებიდან აღსანიშნავია: სკოლის 80 წლის იუბილე; შეხვედრები – ოტია იოსელიანთან, აკადემიკოს იური სიხარულიძესთან, მსოფლიო ჩემპიონ გოჩა ფასიეშვილთან; აკაკის კვირეული; გალაკტიონის პოეზია; ვაჟას დღეები; სადღესასწაულო ზეიმები და სღირშესანიშნავი დღეების აღნიშვნა.

მოწინავე კლასის ხელმძღვანელად, ყველაზე ხშირად, დარეჯან ჟღენტი სახელდებოდა. ჩვენი პედაგოგები სისტემატურად იმაღლებენ კვალიფიკაციას, მათი უმრავლესობა სერტიფიცირებულია.

შედეგიანი იყო სკოლისა და სასოფლო კლუბის ერთობლივი მუშაობა. ზინა კვინტრაძისა და ენვერ ფასიეშვილის თანადგომით, სკოლას არაერთხელ მიუღია მონაწილეობა სარაიონო თუ რესპუბლიკურ ღონისძიებებში, მათ შორის აღსანიშნავია სარაიონო ოლიმპიადები, გოგი დოლიძის საღამო თბილისში; ტარდებოდა სასწავლო ექსკურსიები საქართველოს კუთხეების შესასწავლად.

27 წელი ვუხელმძღვანელე ჩემს მშობლიურ სკოლას. როცა ახლის აშენება გადაწყდა, ჩემი მისია შესრულებულად ჩავთვალე და იმ დღიდან პედაგოგად ვმუშაობ. სურვილი მაქვს, მანამ ვემსახურო ჩემს სკოლას, სანამ ამის საჭიროება და შესაძლებლობა იქნება.

წელს სკოლას დაარსებიდან 95 წელი შეუსრულდა, 9-წლიანი სკოლის გახსნიდან – 25 წელი, პირველი გამოშვების – 20 წლისთავი.

მინდა ეს ღირსშესანიშნავი თარიღი მივულოცო მის ახალ ხელმძღვანელს, ქალბატონ ბელა ცინცაძეს, ყველა პედაგოგს, მოსწავლეს, მთლიანად სოფელს და ვუსურვო მომავალი წარმატებები, ისეთი, როგორიც შეეფერება მის ტრადიციებს და როგორიც სჭირდება ჩვენი ქვეყნის მომავალს.

ამ სტატიის მთავარი მიზანია ხმამაღლა, საჯაროდ მადლობა გადავუხადო ყველას, ვის მხარდაჭერასაც ყოველთვის ვგრძნობდი, ესენი არიან: პედაგოგები, მშობლები, ჩემი სოფელი, რაიონული ხელმძღვანელობა, განათლების განყოფილებისა თუ რესურსცენტრის ხელმძღვანელები, ბატონები: გია ჩხიკვიშვილი და შმაგი ოსეფაიშვილი, ქალბატონები: ლიანა თოდუა, ეთერ წილოსანი, მანანა ჯინჭარაძე, შორენა სიხარულიძე.

დაბოლოს უღრმესი მადლობა ქვეყნის პრემიერ-მინისტრს, ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს, ქალბატონ თამარ სანიკიძეს, ბატონ თემურ მაჩაიძეს და ყველას, ვინც გულთან მიიტანა ჩვენი გასაჭირი და სკოლის ახალი შენობა გვაღირსა.

ღმერთმა შეგაძლებინოთ, ყველა სოფელში ააშენოთ ასეთი სკოლა, რადგან სკოლა გადაარჩენს სოფელს და სოფელი გადაარჩენს ჩვენს ქვეყანას.

ნუნუ ანდღულაძე

წიფნარის საჯარო სკოლის ახალი შენობა

წიფნარის საჯარო სკოლის ძველი შენობა

თვალსაზრისი

ადგილობრივი კადრი ფასდაუდებელია

„მეშინია!.. ეს სოფლები: ეს ლიქოკი, ეს არხოტი, ცარიელა, ეს პარტახი საიგავო, ეს სამოთხე, ეს წალკოტი, სხვა არავინ მოვიდეს და დაიკავოს!“ – ამ სიტყვებით, ნახევარი საუკუნის წინ, შემოჰკრა განგაშის ზარი დიდმა მამულიშვილმა და მეც ამ სიტყვებით ვიწყებ ამ წერილს. რა საშიშროებასაც მურმან ლებანიძე მაშინ ხედავდა, დრომ იმ საფრთხის წინაშე დაგვაყენა, დაიცალა სოფლები და ჰორიზონტზე გამოჩნდნენ მინის მაძიებლები. მიწა ისეთი განძია, რომლის მოცდენა არ შეიძლება – შენ თუ არ მოუვლი, სხვა დაეპატრონება!

საუკუნე-ნახევრის წინ იწინასწარმეტყველა ილიამ: ხმლით მოსულ მტერზე საშიში მტერი მოდის. ეს მტერი ფულია, ყველაზე ვერაგი დამპყრობელიო. უძრაობის პერიოდში გლეხს გასაქანს არ აძლევდნენ, ორ სულზე მეტი საქონელი არ იყოლიოო. მარჩენალ ხარებს ხორცის ჩაბარების გეგმის შესასრულებლად ართმევდნენ და... დაიძრნენ ქალაქისაკენ. ადამიანის ბუნებრივი მოთხოვნილებაა უკეთესი და იოლი საარსებო გარემოს ძიება. მას შემდეგ მიდიან და მიდიან... წასული ბევრი მინახავს და უკან დაბრუნებული – იშვიათად. ისიც ასაკოვანნი. აქამდე მიცვალებულს მაინც მოასვენებდნენ მშობლიურ მიწაში განსასვენებლად. ახლა ესეც შეიცვალა, აქედან იქით მიასვენებენ.

ვინც სოფელშია დარჩენილი, იმას უნდა გაფრთხილება, რადგან მეურნე კაცია სოფლის შემნახავი. მეფე-პოეტმა არჩილმა როდის თქვა, რა ამოწყდეს გლეხი კაცი, საქართველო დაძაბუნდესო. ვერაგმა მტერმა ესეც გათვალა, არარეალიზებულად და დახმარების შემყურედ აქცია. ორიოდე გროშის მომლოდინემ მოშალა მეურნეობა.

სხვა საფრთხეც არსებობს. ამჯერად სკოლაზე გავამახვილებ ყურადღებას, რადგან სკოლაა სოფლის შემნახავი. სამედიცინო მომსახურების გარეშე გაძლებს სოფელი, მით უმეტეს, როცა ასე ეფექტურად მუშაობს სასწრაფო დახმარება, მაგრამ სკოლის გარეშე – ვერა! მართალია, დღეს მოსწავლეთა მცირე კონტინგენტი ზეგავლენას ვერ ახდენს სოფლის სკოლის ფუნქციონირებაზე, რემონტიც კეთდება, თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზითაცაა აღჭურვილი, ბავშვებს სახელმძღვანელოებიც ეძლევათ, მოსწავლეებიც გადაჰყავთ ტრანსპორტით, მაგრამ... მაგრამ ისეთი გეოგრაფიული მდებარეობის სოფელში, როგორიც ველევია, სამუშაოდ არავინ მოდის.

იცვლება დრო, იცვლება მენტალიტეტი, საქმისადმი დამოკიდებულება. ნათელი დაუმკვიდრდეს **რამაზ ხაჭაპურიძეს**. ღმერთმა დიდხანს აცოცხლოთ: **ენგი კერვალიშვილი, გურამ ბენდიანიშვილი, დათო კერესელიძე, თამაზ ლაშვილი, ხათუნა ჭელიძე, სოფო ხიდურელი**... კვირის საგზალაკიდებულები ფეხით მოუყვებოდნენ ველევის გზას, საკუთარი თავის რეალიზებასაც ახდენდნენ და ხალხის პატივისცემასა და სიყვარულსაც იმსახურებდნენ. აღარაფერს ვამბობ განათლების სამინისტროს მიერ განაწილებით საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მოსულ კადრებზე, რომლებიც, თითქმის, ყოველ წელიწადს იცვლებოდნენ.

გვესმოდა რა პრობლემის სირთულე, ვცდილობდით ადგილობრივი კადრების მოძიებას და დღეს შესანიშნავი პედაგოგები გვყავს: ქართული ენისა და ლიტერატურის – **ირმა მაცაბერიძე**, ისტორიის – **თეონა მაცაბერიძე**, მათემატიკის – **გივი ენუქიძე**, ქიმიის – **ლალი ბიბილაშვილი**, რუსულის – **ლენა მარგიევა-გოგსაძე**, ბიოლოგიის – **იოსებ გოგსაძე**. მათგან სამი სერტიფიცირებულია. მაგრამ, რაც უმთავრესია, არ გვყავს ინგლისური ენის მასწავლებელი, რის შესახებაც სამართლიან უკმაყოფილებას გამოთქვამენ მშობლები, ჩვენც შეწუხებულები ვართ, რადგან ინგლისური ენის ცოდნა აუცილებელზე აუცილებელი გახდა, კადრები კი არ არის.

რა ქნან ცოდნამოწყურებულმა თვალმერცხალა ბავშვებმა ან მათმა მშობლებმა? ყველა მშობელი ხომ დაინტერესებულია შვილის მომავლით. იციან დროის ფასი, არ უნდათ დროის უქმად დაკარგვა, უნდათ მათმა შვილებმა კარგი განათლება მიიღონ, რათა საზოგადოების სრულფასოვან წევრებად რეალიზდნენ. შემდეგ რომ სასაყვედუროდ არ გაიხადონ საქმე, იძულებულები გახდებიან აიყარონ სოფლიდან და წავიდნენ. აყრაა ძნელი, თორემ გზა ყოველთვის გამოჩნდება. ვფიქრობ, ესეც ომია, ომი სოფლის გადარჩენისათვის. სკოლის დახურვა ხომ სოფლის დახურვის ტოლფასია. ძლივს შეკონწინებული პედაგოგიური კადრებიც მიმოიფანტება. ჩვენ, ფაქტობრივად, სოფლის მცველი ჯარისკაცები ვართ, სოფლის გადარჩენის ომში ჩაბმულები.

2011 წლიდან სკოლაში სამუშაოდ მოდიოდნენ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროექტის „ასწავლე საქართველოსთვის“ წარმომადგენლები. წელს, მიუხედავად იმისა, რომ აპრილში გამოვაცხადეთ ვაკანსია, არავინ მოვიდა. სხვას კი არსებულ ხელფასზე მუშაობა არ უნდა. ვერც გაამტყუნებთ. თემში საზოგადოებრივი ტრანსპორტი, კვირა დღის გარდა, არ დადის. თოვლის დადების შემდეგ, ნოემბრიდან მაისამდე – აღარ, ტაქსით გადაადგილება კი 50 ლარი მაინც ღირს. რაიონის ცენტრამდე და მახლობელ სკოლამდე 19 კილომეტრია. აქ გავლით ვერ მოხვდები, სპეციალურად მოსვლაა საჭირო. ქალაქებისა და დიდი სკოლების გადასახედიდან ნუ შევხედავთ პრობლემას. სოფლის ბავშვებს მასწავლებელი ბუფეტსა და საკვებზე მეტად ესაჭიროებათ.

შეცვლილ მენტალიტეტზეც ვიტყვი: სკოლა რომ დავამთავრე, ბოლო ზარზე 27 თანაკლასელი დედაქალაქში წასვლაზე მსჯელობდა. მე კი ვიფიქრე, ყველა რომ წავიდეს, აქ ვიღა დარჩეს და აქაურობას ვინ მოუაროს-მეთქი და დავრჩი. არ ვნანობ, რადგან მილიონების ოკეანეში ჩაკარგვას, აქ საჭირო და საჩინო პიროვნებად ყოფნა ვარჩიე. მე კი არ ვარსებობ, ვცხოვრობ: ძროხაც მყავს, ღორიც და ქათამიც; ყანაც მაქვს, ბოსტანიც და ვენახიც. როგორ ვწვდები? ვახერხებ და სერტიფიცირებული მასწავლებელიც ვარ. ხომ გაგიგონიათ: თუ გული გულობსო... ასე არიან ჩემ გვერდით მომუშავე პედაგოგებიც. სოფლის უბეში გაზრდილზე უფრო მეტად სოფლის სატკივარის დანახვა და გაგება არავის შეუძლია, ადგილობრივი კადრი ფასდაუდებელია. სამშობლო ასფალტიდან დანახული ლამაზი მთები არ არის, სამშობლოს მოვლა და სამსახური უნდა. ესეც ომია, ომი სოფლის გადარჩენისათვის. იწილო-ბიწილო თვითშეფასების სქემასა და მასწავლებლების დაფრთხობაზე ფიქრს, კადრების მოძიებასა და მთის სოფლების გადარჩენაზე ზრუნვა სჯობს. მობრძანდნენ კომპეტენტური პიროვნებები და ნახონ, როგორ ვმუშაობთ. შრომის დამნახავი და შემფასებელი ნაღდად გვჭირდება, რადგან პერიფერიებშიც მიმდინარეობს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მუშაობა.

ეკატერინე ჭიჭინაძე
სსიპ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ველევის საჯარო სკოლის დირექტორი, ქართული ენისა და ლიტერატურის სერტიფიცირებული პედაგოგი

სასკოლო აქტივობა

სასწავლო პროექტი „პატარა ქვეყნის დიდი ბრძენკაცი“

პროექტზე დაფუძნებული სწავლება აქტიური და მიზანმიმართული სწავლების საშუალებას იძლევა. ზრდის როგორც მოსწავლის, ასევე მასწავლებლის მოტივაციას. უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ჩართვას სასწავლო პროცესში, ინტერაქტიულობის მაღალი დონის მისაღწევად სასწავლო პროექტები საუკეთესო საშუალებაა.

იაკობ გოგებაშვილის იუბილესთან დაკავშირებით, სკოლა „ანაბასისში“ (დირექტორი – **ქეთევან ედიბერიძე**) დაწყებითი კლასების საგნობრივმა კათედრამ დაგეგმა სასწავლო პროექტი: „პატარა ქვეყნის დიდი ბრძენკაცი“.

პროექტში ჩაერთო დაწყებითი საფეხურის I-IVკლასები. შედგა კათედრის წევრთა შეხვედრა. ვისაუბრეთ, ვიმსჯელეთ, კოლეგებმა ჩამოაყალიბეს საკუთარი მოსაზრებები. გავითვალისწინეთ ერთმანეთის გამოცდილება და მიზნად დავისახეთ პროექტის ფარგლებში გაგვეხორციელებინა მრავალი საინტერესო, სახალისო აქტივობა, რომლებიც მოსწავლეებში მოტივაციას აამაღლებდა და ინტერესს გაუღვივებდა ბავშვებს.

ერთობლივი ძალისხმევით შემუშავდა საინტერესო სამოქმედო გეგმა. დაიგეგმა კლასის საათები. შეირჩა განსახორციელებელი აქტივობები. გავითვალისწინეთ მოსწავლეთა შესაძლებლობები და ინტერესები. ვცდილობდით, პროექტში მონაწილეობა თითოეულისათვის ყოფილიყო სასურველი, სახალისო და მრავლისმომცემი.

III და IV კლასის მოსწავლეებმა მოიძიეს ინფორმაცია იაკობ გოგებაშვილის ბიოგრაფიასა და შემოქმედებაზე, მასწავლებლის დახმარებით დაახარისხეს მასალა და მონდომებით გააცნეს I და II-კლასელებს, მათ კი იაკობის მოთხრობები შეისწავლეს, მოირგეს მათი გმირების როლები და გააცოცხლეს პერსონაჟები, სიტუაციურად წარადგინეს ეპიზოდები.

პროექტის ფარგლებში მოეწყო ანიმაციური ფილმების ჩვენება, რამაც ხელი შეუწყო მასალის უკეთ ათვისებას, შემდეგ კი ნახატები შექმნეს და გამოფენა მოაწყვეს. მოსწავლეები ათვალიერებდნენ ერთმანეთის ნამუშევრებს, აფასებდნენ და გამოთქვამდნენ მოსაზრებებს.

მეტად საინტერესო აღმოჩნდა აქტივობა – „წერილი დედაენის ავტორს“. II, III და IVკლასების მოსწავლეებმა წერილები მისწერეს დედაენის ავტორს, საკლასო ოთახში გამოფინეს და სტუმრებს შეეძლოთ, წაეკითხათ. თითოეულის წერილი ხატოვნად გამოხატავდა პატარების დამოკიდებულებას იაკობ გოგებაშვილის მიმართ, მადლობას უხდიდნენ იმ დიდი საგანძურისთვის, „დედაენა“ რომ ჰქვია; ზოგიც მოთხრობის გმირების ამბით ინტერესდებოდა და პირობას დებდა, რომ კარგს მიბაძავდა და ცუდს დაგმობდა. იგრძნობოდა, რომ მათ ბევრი მოისმინეს, წაიკითხეს და შეისწავლეს იაკობისა და მისი შემოქმედების შესახებ. სწორედ ეს იყო სასწავლო პროექტის მიზანი – ცოდნის გაღრმავება საკითხთან დაკავშირებით. ჯგუფურმა მუშაობამ ხელი შეუწყო საკომუნიკაციო უნარების განვითარებას. უსმენდნენ ერთმანეთს, აინტერესებდათ თანატოლების მიერ მოძიებული მასალა და მათ მიერ გამოთქმული შეხედულებები.

პროექტის დასრულების შემდეგ, თითოეული მონაწილის მიერ შეივსო თვითშეფასების რუბრიკა, სადაც გამოიკვეთა, რამდენად მიაღწიეს მათ გეგმით გათვალისწინებულ შედეგს. მასწავლებლების მიერ მოსწავლეები შეფასდნენ განმავითარებელი შეფასებით. გადავიღეთ პროექტის აქტივობების ფოტო და ვიდეომასალა. სასწავლო წლის ბოლოსათვის დავგეგმეთ ექსკურსია სოფელ ვარიანში, იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმის მოსანახულებლად.

ელისო გურგენიძე
ზესტაფონი, სკოლა „ანაბასისი“ დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კათედრის ხელმძღვანელი

იუბილე

ვახუშტის დღეები

ლალი ჯელაძე

17-18 დეკემბერს მწერალთა სახლმა ვახუშტი კოტეტიშვილის 80 წლის იუბილე ღონისძიებებით აღნიშნა. ცნობილი ქართველი პოეტის, მთარგმნელის, პუბლიცისტისა და ფოლკლორისტის დღეები მწერალთა სახლში მისი შემოქმედებითი საღამოთი დაიწყო და „სონეტების კრებულში“ ასახული მისი ბოლო წლების შემოქმედების პრეზენტაციით გაგრძელდა. ამ სახით სონეტების კრებული პირველად გამოიცა, მწერალთა სახლის ინციატივითა და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით. ვახუშტი კოტეტიშვილის საიუბილეო ღონისძიებების მეორე დღეს საიუბილეოდ გამოცხადებულ ლიტერატურულ კონკურსში გამარჯვებული მოსწავლეების დაჯილდოება გაიმართა.

კონკურსი რამდენიმე კვირით ადრე გამოცხადდა უფროსკლასელებისთვის (IX -XII კლასები) და მასში მონაწილეობის მიღება შეეძლოთ საქართველოს საჯარო სკოლების მოსწავლეებს. მათ ვახუშტი კოტეტიშვილის მოგონებათა წიგნის „ჩემი წუთისოფელი“ მიხედვით, სამი შეთავაზებული თხზულებიდან, საკონკურსოდ ერთ-ერთი უნდა წარედგინათ: **„ხიდი ორ ეპოქას შორის“** – ვახუშტი კოტეტიშვილი, როგორც მთხრობელი; **„დიდი ტერორი“**, ვახუშტი კოტეტიშვილის „ჩემი წუთისოფლის“ მიხედვით; **„ერთი ოჯახის ისტორია, როგორც ეპოქის სახე“.** კონკურსში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სხვადასხვა რეგიონის მოსწავლეებმა, სულ 61 საკონკურსო თემა დაიწერა. **ნატა ლომოურმა**, მწერალთა სახლის დირექტორმა და კონკურსის ჟიურის წევრმა დიდი მადლობა გადაუხადა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აღმოჩენილი დახმარებისთვის, რადგან სწორედ მათი თანადგომით გახდა შესაძლებელი კონკურსის შესახებ ინფორმაცია სრულიად საქართველოს მასშტაბით გავრცელებულიყო და მეტიც, როგორც ქალბატონმა ნატამ აღნიშნა, დავიწყებულ სოფლებამდეც კი ჩაეღწია. *„ძალიან ბევრი კარგი თემა იყო და გაგვიჭირდა მათგან სამი გამარჯვებულის გამოვლენა. ჟიურის წევრები მწერალთა სახლის თანამშრომლები ვიყავით, თან ვტიროდით, თან ვიცინოდით – ძალიან ემოციური შეფასების პროცედურა გვქონდა. გამოვავლინეთ სამი გამარჯვებული. საპრიზო ადგილებზე გასულ მოსწავლეებს ტაბლეტებით – ელექტრონული წიგნებით ვაჯილდოვებთ, რომ კიდევ უფრო მეტი იკითხონ და თვალსაწიერი გაიფართოვონ. გამორჩეული ნაწარმოებებისთვის გვაქვს სპეციალური პრიზები – წიგნები, ალბომები და სიგელები, რომლებსაც სკოლებს გავუგზანით. ეს, გარკვეულწილად, სტიმულს მისცემს მათ, რომ სამომავლოდ მსგავს კონკურსებში მიიღონ მონაწილეობა.“*

პირველი ადგილი ფოთის №1 საჯარო სკოლის IX კლასის მოსწავლემ, **არჩილ გვასალიამ** აიღო თემისთვის „ერთი ოჯახის ისტორია, როგორც ეპოქის სახე“. ამბობს, რომ ვახუშტი კოტეტიშვილი, როგორც მწერალი, სწორედ „ჩემმა წუთისოფელმა“ გააცნო. *„წიგნმა საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, ვახუშტის მიერ აღწერილი ოჯახის წევრების ერთმანეთისადმი გამოხატულმა საოცარმა გრძნობებმა და მზრუნველობამ აღფრთოვანება გამოიწვია ჩემში და ჩემი წინაპრების ნაამბობიც გამახსენდა როგორი იყო მათი ურთიერთოობები, გამახსენდა მათი ნაამბობი, რას შთამაგონებდნენ და რითაც ვსაზრდოობ. წიგნმა დიდი კვალი დატოვა ჩემზე და დიდი მადლობა, რომ მისი წაკითხვის შესაძლებლობა მომეცით.“*

მეორე საპრიზო ადგილის მფლობელი ამბროლაურის №2 საჯარო სკოლის X კლასის მოსწავლე **ნინო ჯანელიძე** გახდა. ნინოს თემა იყო „დიდი ტერორი“, ვახუშტი კოტეტიშვილის *„ჩემი წუთისოფლის“ მიხედვით; ამბობს, რომ წიგნმა მასზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა, რადგანაც ფიქრობს, რომ „წიგნი ასახავს არა მხოლოდ ერთი ოჯახის ისტორიას, არამედ ეპოქის ტრაგედიას, რომელიც ახლო წარსულში იყო და ეს ყველაფერი თითოეული ჩვენგანისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან წიგნი გვიჩვენებს, რა ხდებოდა 37 წლის რეპრესიების დროს და რა გადაიტანა ხალხმა. ეს კარგად უნდა გავითავისოთ, რომ მომავალში მსგავსი რამ არ განმეორდეს. ყველას გირჩევთ ამ წიგნის წაკითხვას.“*

მესამე საპრიზო ადგილი თბილისის მე-6 საავტორო სკოლის მოსწავლეს, **ელენე ჯავახიშვილს** ხვდა თემისთვის: „ერთი ოჯახის ისტორია, როგორც ეპოქის სახე“.

„მონაწილეობა მივიღე მწერალთა სახლის მიერ გამოცხადებულ კონკურსში, რომლის შესახებ ჩემი სკოლის ქართულის მასწავლებლისგან შევიტყვე. დამაინტერესა მოცემულმა თემებმა და გადავწყვიტე წამეკითხა ვახუშტი კოტეტშვილის წიგნი „ჩემი წუთისოფელი.“ იმაზე საინტერესო აღმოჩნდა, ვიდრე ველოდი. მისი წაკითხვის შემდეგ განსაკუთრებით დამაინტერესა ერთ-ერთმა თემამ: „ერთი ოჯახის ისტორია, როგორც ეპოქის სახე.“

ამ ეპოქის შესახებ ჩემი მშობლებისგან და ოჯახის სხვა წევრებისგან მსმენია, მაგრამ ამ წიგნში უფრო ნათლად და ცხადად არის წარმოდგენილი ეს სასტიკი ეპოქა. ეროვნული ტრაგედია ერთი ოჯახის მაგალითზეა მოთხრობილი. ვცადე, რომ ჩემი განწყობა და აზრები გადმომეცა ამ ესეს საშუალებით. ძალიან მიხარია, რომ ჩემმა ნაშრომმა სხვების მოწონებაც დაიმსახურა.

ამ ნაწარმოებმა მომცა საშუალება, განმეცადა ის საშინელება, რაც საბჭოთა საქართველოში ხდებოდა და უკეთ გამეცნო ჩემი ქვეყნის ისტორია და დამარწმუნა იმაში, რომ ასეთ დროსაც კი, საბედნიეროდ, არსებობენ ღირსეული ადამიანები. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო კონკურსის ორგანიზატორებს და იმედი მაქვს, მსგავსი კონკურსები ხშირად ჩატარდება.“ – გვიამბობს ელენე.

საიუბილეო დღეები ამით არ დასრულებულა. გამარჯვებულების დაჯილდოების შემდეგ მწერალთა სახლში შეკრებილ უფროსკალსელებს პოეტმა, მთარგმნელმა და აღმოსავლეთმცოდნე **გიორგი ლობჟანიძემ** ვახუშტი კოტეტიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ უამბო. „ვახუშტის ერთ-ერთი საყვარელი მოსწავლე და შემდგომში მისი მეგობარი“ – სხვა წოდებასთან ერთად იმ დღეს გიორგი ამ წოდებითაც მოიხსენიეს.

ლექცია იმის აღიარებით დაიწყო, რომ სკოლაში არ უყვარდა ხოლმე მწერლების ბიოგრაფიების კითხვა, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ: *„ძალიან მშრალად გვიყვებოდნენ მწერლების ბიოგრაფიას, რაც ღირებული იყო მათ ბიოგრაფიაში, თითქმის ყოველთვის ყურადღების მიღმა რჩებოდა. ძალიან საინტერესოა, როდესაც მწერალი ხელს კიდებს კალამს იმისთვის, რომ აღწეროს თავისი ცხოვრება და მკითხველს მიაწოდოს ბიოგრაფია. მემუარული ჟანრი საერთოდ, ვფიქრობ, ლიტერატურაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ჟანრია, მით უმეტეს, როდესაც მას ისეთი ნიჭიერი, გენიოსი ადამიანი ჰკიდებს ხელს, როგორიც ვახუშტი კოტეტიშვილია. ცხოვრებაში უამრავი რამ ხდება – დღის განმავლობაში დაგროვილი შთაბეჭდილებების დახარისხებაც კი არ არის მარტივი და იოლი. წარმოიდგინეთ, მთელი ცხოვრებიდან რას გამოყოფს ადამიანი, რას მიაქცევს ყურადღებას და როგორ აგებს ამაზე მხატვრულ ნაწარმოებებს ისე, რომ ეს საინტერესო იყოს არა მხოლოდ მისთვის, არამედ მკითხველისთვისაც. აქ ითქვა ძალიან სწორად, რომ ეს არა მხოლოდ ერთი ოჯახის ისტორიაა, არამედ მთელი თაობის – საქართველოს ისტორიის ის მონაკვეთია აღწერილი, რომელიც, ჩემი აზრით, ყველაზე შავ-ბნელი ხანაა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. ცხადია, ბანალური მიზეზი ყველამ ვიცით – საბჭოთა დროს რეპრესიები მძვინვარებდა. საბჭოეთის იდეოლოგია უპირისპირდებოდა ყოველგვარ ეროვნულს და საერთოდ სააზროვნო პროცესს იმიტომ, რომ არც ერთ იდეოლოგიას არ აწყობს და ხელს არ აძლევს მოაზროვნე ადამიანთან დაპირისპირება. ამას რომ მოერიდოს ის, უბრალოდ, ფიზიკურად უნდა გაანადგუროს...“*

საინტერესო ისტორიებს შორის ერთ-ერთი, რომელიც გიორგიმ მოსწავლეებს უამბო, ვახუშტის გარდაცვალების შემდეგ ბუკინისტური წიგნის მაღაზიაში შეძენილ წიგნს უკავშირდება. *„ბუკინისტებთან ვნახე ვახტანგ კოტეტიშვილის წიგნი – მოგეხსენებათ, ვახტანგ კოტეტიშვილი – ვახუშტის მამა – ძალიან დიდი მეცნიერი და არაჩვეულებრივი ფოლკლორისტი იყო, რეპრესირებულია 1938 წელს. რეპრესიებამდე ცოტა ხნით ადრე, გამოსცა თავისი კვლევის არაჩვეულებრივი შედეგი – „ხალხური პოეზია“. სწორედ ეს გამოცემა ვნახე ბუკინისტებში, რომელსაც უძღვნის ერთ, როგორც ჩანს, მაშინ ძალიან ახლო მეგობარს, იმიტომ რომ, წიგნზე აწერია – „ჩემს ძვირფას ძმას... (სახელის ხსენება ახლა საჭირო არ არის) დიდი სიყვარულითა და პატივისცემით, ვახტანგ კოტეტიშვილი“. წიგნი შეიძლება ითქვას, კაპიკებად ვიყიდე და ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, რადგან ჩემს ბიბლიოთეკაშიც იქნებოდა ვახტანგ კოტეტიშვილის ხელმოწერილი წიგნი, მართალია, სხვისთვის ნაჩუქარი, მაგრამ ახლა უკვე კანონიერად მე ვიყავი მისი მფლობელი. მაგრამ არ ვიცოდი, რომ მთავარი უსიამოვნო სიურპრიზი, როგორც მერე გაირკვა, წინ მელოდა. როგორც ჩანს, წიგნის მფლობელის შთამომავლებმა ისე ჩააბარეს წიგნი ბუკინისტებში, რომ არც „გაუჩხრიკავთ“. წიგნში ვიპოვე ვახტანგის „კარგი მეგობრის“ მიერ დაწერილი მოხსენებითი ბარათი მაშინდელი უშიშროებისადმი, სადაც წერს, რომ ვახტანგ კოტეტიშვილის ეს წიგნი შეიცავს ანტიხალხურ ელემენტებს და ა.შ.*

ამას სხვა შემთხვევაში არ მოვყვებოდი. ცუდი ნათქვამია, რომ გარდაცვლილზე ან კარგს ლაპარაკობენ, ან არაფერსო. თუ არ გაიაზრე რა ხდებოდა და თუ ამ გააზრებას წინ რაიმე გადაეღობა, ეს იმას ნიშნავს, რომ გამუდმებით გამეორდება ბოროტებები. გაოგნებული დავრჩი – წარმოიდგინეთ, ალბათ, როგორი სიყვარულით აჩუქა წიგნი ვახტანგმა მეგობარს, იმიტომ რომ, ჩვეულებრივ შემთხვევითი ნაცნობისთვის ასეთ წარწერას წიგნზე ავტორი არ გააკეთებს. მოხსენებითი ბარათის ავტორმა კი თავისი „მოვალეობა“ შეასრულა – იქ არ ეწერა, ვინმე დახვრიტეთ ან ჩამოახრჩვეთო, მაგრამ ეს იყო, ერთი მხრივ, ეპოქის დოკუმენტი, მეორე მხრივ კი – მეგობრის ხელით გამოტანილი პირდაპირი განაჩენი.

კარგა ხანს გონზე ვერ მოვედი, ვახუშტი მაშინ ცოცხალი აღარ იყო, თორემ ამას ვერ დავუმალავდი და ისიც გაიგებდა ამ საშინელებას.

ეს უკვე გარდასული თაობაა, მაგრამ ჩვენ ასეთი გახსენებები, თუნდაც დღევანდელი ლექცია, იმისთვის გვჭირდება, რომ გავიაზროთ რა ხდებოდა წარსულში, რაც კარგია, არასოდეს დაგვავიწყდეს და რაც ცუდია, ზოგადი ფონის თვალსაზრისით – აღარ გავიმეოროთ. ყოველ შემთხვევაში, ამის დიდი იმედი მაქვს. შეუძლებელია ადამიანი ბოროტის საწყისიდან მომდინარეობდეს, შეიძლება ჩვენში არის რაღაც ბოროტება, მაგრამ ყოველთვის შეგვწევს იმის ძალა, რომ დავამარცხოთ.“

ვახუშტი კოტეტიშვილისთვის დამახასიათებელ ყველა მნიშვნელოვან შტრიხს გიორგი ლობჟანიძე მისივე ცხოვრების მაგალითებით ყვებოდა, თუ როგორ შეიძლება „უტრაგიკულესი“ ბედისწერის მქონე ადამიანი, დაბრკოლებებით სავსე ობლობაში გატარებული დღეების შემდეგ, მაინც ყველაზე ხალისიანი და გულწრფელი იყო – ეს მხოლოდ ვახუშტის შეეძლო.

„ვახუშტი რეპრესირებული ოჯახიდან იყო, უტრაგიკულესი ბედისწერის ადამიანი – მამა ძალიან მალევე დააპატიმრეს და მერე, პრაქტიკულად, მის შესახებ არაფერი იცოდნენ, გარდა იმ ვარაუდისა, რომ დახვრიტეს, რომელიც დადასტურდა კიდეც. დედაც მალევე გარდაიცვალა (შეიძლება ითქვას, რომ მშობიარობას გადაჰყვა), დარჩა ჩვილი ვახუშტი უფროსი დების – ლეილასა და მანანას – ანაბარა, რომელთაგან ვახუშტის გამზრდელი ლეილა ყველაზე უფროსი – 13-14 წლის იყო. ვახუშტის მონაყოლით, ლეილა ჩემთვის არქაული დის ხატად იქცა, თითქოს მითოსურ ხატად, რომელიც ძმისადმი დის ერთგულებას და სიყვარულს განასახიერებდა. ამას ვახუშტი ყოველთვის უსვამდა ხაზს.

თან რეპრესირებული ოჯახის შვილი, თან ობლად გაზრდილი, თითქოს, ყველა წინაპირობა იყო იმისა, რომ ვახუშტის დაგროვებოდა ბოღმა ცხოვრების და იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც გარს ერტყნენ. მე ამ ოჯახთან დაკავშირებული ერთი მაგალითი მოგიყევით, რომელმაც ისე იმოქმედა ჩემზე, რომ ერთი თვე დავდიოდი დამძიმებული. თქვენ წარმოიდგინეთ, ვახუშტის რამდენჯერ შეხვდებოდა ასეთი უსიამოვნო რამ, რამდენი დაბრკოლება ელოდა იმის გამო, რომ რეპრესირებული მამის შვილი იყო. მაგრამ მისი ღირსება და ადამიანობა ის იყო, რომ არასოდეს იტოვებდა ბოღმას გულში. ვითომ ხომ მარტივია, არ მიაქციო ბოროტებას ყურადღება, იმიტომ რომ, შენ თვითონ არ დაემსგავსო მას. ეს სიბრძნე, თითქოს ასე ემპირიულად მოწოდებული, ძალიან მარტივია, მაგრამ ცხოვრებაში ძნელი მისაღწევია. ამის მაგალითი იყო ვახუშტი.

რამდენჯერ მინახავს თუ როგორ იფეხრთავდა მტვერივით ყველაფერს, რაც მას, მის წინაპრებს და იმ დიდ საგვარეულოს არ ეკადრებოდა, რაზედაც წერს „ჩემს წუთისოფელში“ – ამ არაჩვეულებრივ მემუარული ჟანრის შედევრში.

ძალიან მნიშვნელოვანია ყველა დეტალი, რასაც ყურადღებას აქცევს წიგნში. იქ ათას ამბავს შეხვდებით, მათგან ერთ-ერთი გამორჩეული და საინტერესოა – კოტეტიანთ თუმნიანის ამბავი – როგორ უგზავნის ერთი გაჭირვებული ძმა მეორე გაჭირვებულ ძმას ოჯახიდან გამოგზავნილ თუმნიანს, სანამ ბოლოს ისევ ოჯახს არ დაუბრუნდება – ვინ იცის, იქნებ იმათ უფრო უჭირთო – ყველაფერს ის განაპირობებს, ადამიანი რა სიღრმით უყურებს და აფასებს საკუთარ ცხოვრებას, მერე ეს ყველაფერში ვლინდება, ეს ჩანდა ვახუშტის ცხოვრებასა და საქმისადმი დამოკიდებულებაში და, რასაკვირველია, მომდევნო თაობასთან – მოწაფეებთან მიმართებაშიც.“

დაბოლოს, ვახუშტი კოტეტიშვილის ერთ-ერთი საყვარელი მოსწავლე საუბრობს გამორჩეული პედაგოგის შესახებ, რომელმაც მისი სპეციალობის არჩევანიც კი განაპირობა.

„ჩემი დაინტერესება სპეციალობით ვახუშტი კოტეტიშვილის თარგმანებმა განაპირობა. ალბათ თქვენხელა ვიყავი, შეიძლება უფრო უმცროსი – მეექვსეკლასელი, როცა ერთი არაჩვეულებრივი წიგნი წავიკითხე – ირანული პოეზია, ვახუშტი კოტეტიშვილის შედგენილი და რედაქტირებული, სადაც სხვა მთარგმნელებთან ერთად, რა თქმა უნდა, მისი თარგმანები იყო (გირჩევთ თქვენც წაიკითხოთ). ისე აღვფრთოვანდი წიგნით, რომ გადავწყვიტე, მომეძებნა სპარსულის მცოდნე და მესწავლა ენა, რომ სპარსული ლექსები დედანში წამეკითხა. მერე მთელი ჩემი მოსწავლეობა ისე გავიდა, რომ ვახუშტი კოტეტიშვილთან შეხვედრაზე ვოცნებობდი, მაგრამ ეს მანამდე არ მოხერხდა, ვიდრე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არ ჩავირიცხე. მე არაბულ განყოფილებაზე ჩავირიცხე, ბატონი ვახუშტი კი ლექციებს ირანული ფილოლოგიის განხრით კითხულობდა. იმ პერიოდში, 90-იან წლებში, საკმაოდ დატვირთული გრაფიკი ჰქონდა, როგორც უნივერსიტეტის ლექტორს, რამდენიმე საგანს ასწავლიდა – სპარსული ლიტერატურის ისტორიას და თარგმანის თეორიას. ენას უკვე აღარ ასწავლიდა, მაგრამ იყვნენ მისი ნამოწაფრები, რომლებსაც ახსოვდათ, როგორ უსწორებდათ სპარსულის რვეულებს ვა-



იუბილე

ხუშტი კოტეტიშვილი.

ერთხელ, პირველ კურსზე, მოვახერხე და მესამე კურსის ირანისტებთან შევძვერი ლექციაზე, დავჯექი და იმის შემდეგ, რაც პირველად მისი ლექცია მოვისმინე, ბატონი ვახუშტის ლექცია აღარ გამიცდენია არც ერთ კურსთან (თუ კი ამის საშუალებას ჩემი სასწავლო გრაფიკი მაძლევდა). ლექციიდან ლექციაზე გადავდიოდი, პრაქტიკულად, გამოდიოდა ისე, რომ მხოლოდ ვახუშტისთვის დავდიოდი უნივერსიტეტში, თვითონვე შეამჩნია ეს და ჩემ შესახებ გამომკითხა. ბოლოს ასე ხუმრობდა – როცა ახალ კურსთან შევდიოდი ლექციაზე, ასე წარმადგენდა – მე ხომ მზე ვარო, მაგრამ ეს ჩემი თანმდევი პლანეტაა და იცინოდა.

ბოლოს და ბოლოს ამოუწურავი არაფერია – ინფორმაციას ძალიან მალე ამოწურავ და იქ ყველაფერი დამთავრდება, მაგრამ ვახუშტის ლექცია არ იყო მხოლოდ მშრალი ინფორმაცია – ეს იყო ნიჭიერების, იმპროვიზაციის ნამდვილი ფოიერვერკი, მინი-სპექტაკლები თითოეულ კურსთან, ცალკე სპექტაკლი ამა თუ იმ თემაზე, ძირითადად, თარგმანების და იმდენად მნიშვნელოვანი, რომ წარმოიდგინეთ, წლების განმავლობაში, რამდენ მის ლექციას დავესწარი, არც ერთი არ განმეორებულა, ეს უდიდესი უნარია. შესანიშნავი მთარგმნელი, მწერალი, სიტყვისმცოდნე და დამფასებელი არაჩვეულებრივი პედაგოგიც იყო. ეს კიდევ ცალკე ნიჭია და, როდესაც მე გავხდი პედაგოგი, მერე მივხვდი, რა ძნელი ყოფილა ასწავლო სხვას.

ვახუშტის საიდუმლო ის იყო, რომ ძალიან ცოცხალი ადამიანი იყო – ყველა ვცოცხლობთ, ვსუნთქავთ, მაგრამ ვახუშტის ყველაფერზე ადეკვატური და მყისიერი რეაქციები ჰქონდა, რაც მასთან ურთიერთობას კიდევ უფრო საინტერესოს ხდიდა. თუმცა, მყისიერი რეაქცია იმას არ ნიშნავდა, რომ რაღაც დაუფიქრებლად ეთქვა, უბრალოდ, არასოდეს მალავდა გულწფრელ ემოციას და ამას ისეთ ფორმას აძლევდა, რომ, ნებისმიერ შემთხვევაში, დიდი გაკვეთილი იყო მისთვის, ვისაც ვახუშტისთან ურთიერთობა უწევდა.

ღამით რამეს რომ თარგმნიდა, დილით ლექციაზე მოიჩქაროდა, რომ სტუდენტებისათვის წაეკითხა და გაეზიარებინა. ამასაც მერე მივხვდი, რას ნიშნავდა, მაშინ კი ვფიქრობდი, რომ ეს ჩვეულებრივია, ასეც უნდა იყოს. მაგრამ ესეც მისი დიდი უშურველობიდან მოდიოდა. საერთოდ, ძალიან დაუნანებელი და გამმეტი ადამიანი იყო. ასეთი გულუხვი კაცი იშვიათად შემხვედრია და ეს ამითაც მჟღავნდებოდა– მოიტანდა თარგმანებს და გვიკითხავდა. ასე წამიკითხა რილკეს სონეტების დიდი ნაწილი, იოსიფ ბროდსკის „ორი საათი რეზერვუარში“, სპარსული პოეზიის შედევრები და სხვ.“

სასკოლო სპორტი

არამასობრივი, მაგრამ პოპულარული

მაგიდის ჩოგბურთი სპორტის ერთ-ერთი პოპულარული სახეობაა, თუმცა მასობრიობით დიდად ვერ დაიკვეხნის. მათ შორის – ვერც საჯარო სკოლებში და ეს იმის მიუხედავად, რომ ბევრი ინვენტარი არ სჭირდება, სპორტის არც ისე ძვირადღირებული სახეობაა. საქართველოში სულ თითებზე ჩამოსათვლელია სკოლები, სადაც ამ სახეობის ჯგუფებია გახსნილი. ერთ-ერთი მათგანი თბილისის 161-ე საჯარო სკოლაა, სადაც ამ საქმის ერთ-ერთი წარმატებული მწვრთნელი ნინო ნინოშვილი მუშაობს და ახალ თაობებს ზრდის. ცხადია, სასკოლო სპორტი მუდამ გვაინტერესებს, მაგრამ ამ სკოლამ იმითაც მიიქცია ყურადღება, რომ იქ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოზარდებიც ვარჯიშობენ და არა მარტო – შეჯიბრებებშიც გამოდიან, თან – უცხოეთშიც.

თუმცა, ვიდრე ნინო ნინოშვილთან ინტერვიუს შემოგთავაზებთ, მანამ თავად 161-ე სკოლის გასაჭირზეც უნდა ვთქვათ, რომელსაც რამდენიმე წლის წინ დარბაზი დაუნგრიეს ახლის აშენების პირობით, მაგრამ დაპირება დაპირებად დარჩა, თბილისის ცენტრში, იოსებიძის ქუჩაზე, ამხელა სკოლა დღესაც დარბაზის გარეშეა. აქ ხელბურთის ჯგუფიც მუშაობდა, რომელიც უკვე გაუქმდა, მისმა წევრებმა კი სხვა დარბაზში გადაინაცვლეს. თუმცა ამ თემაზე მასალას მომდევნო ნომრებში შემოგთავაზებთ.

– ნინო, თავდაპირველად, თქვენი კლუბის შესახებ გვიამბეთ, რა ბაზაზე არსებობს ის

– ჩვენი კლუბია „სტოატი“ და 161-ე სკოლაში დარბაზი გვაქვს იჯარით აღებული, სკოლის ხელმძღვანელობა ძალიან გვეხმარება საიჯარო შეღავათებით. ისინი ტურნირების ჩატარებაშიც ყველანაირად მხარს გვიჭერენ. სკოლაშივე, მაგიდის ჩოგბურთის ევროპული ფედერაციის ეგიდით, 8 მარტს, ყოველწლიურად იმართება ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ტურნირი გოგონებს შორის, რაშიც ასევე ძალიან გვეხმარებიან. არ არსებობს, სკოლის დირექციას, პირადად მიხეილ მინდაძეს, რაიმე ვთხოვოთ და არ დაგვეხმაროს. კლუბის წევრთა უმეტესობაც ამავე სკოლის მოსწავლეა, თუმცა სხვა სკოლებიდანაც ბევრია. 161-ს გარდა, ჩვენს კლუბს ფილიალი აქვს „ვალდორფის“ კერძო სკოლაში.

– რა საშუალებებით არსებობს კლუბი, გეხმარებათ ვინმე მის შენახვაში?

– ურთიერთობა გვაქვს დედაქალქის მერიის სპორტის სამსახურთან, რომელიც მწვრთნელებს დახმარებას გვინიშნავს. ამიტომ ერთი ჯგუფი სრულიად უფასოა, მეორე კი მიზერულ გადასახადს იხდის, რაც ისევ კლუბის განვითარებას ხმარდება. ორივე ჯგუფში, დაახლოებით, 50 ბავშვია.

– ვიცი, რომ შეზღუდული შესაძლებლობების სპორტსმენებიც გყავთ... რამდენად დიდია ინტერესი ამ კატეგორიის მოზარდებისგან?

– დიახ, მართლაც გვყავს ასეთი ჯგუფი და ინტერესი ძალიან დიდია. იმდენად დიდი, რომ ვერც ვატევ. ადრე ყველა ინტეგრირებულად ვარჯიშობდა, მაგრამ ახლა, კარგი მოთამაშეები, თბილისის პარაცენტრში გადავიყვანე. იქაც მოზრდილი ჯგუფია და მონდომებით ვარჯიშობენ. დაინტერესება მართლაც დიდია. განსაკუთრებით – აუტიზმით, დაუნის სინდრომით დაავადებულებისა და პარასპორტსმენებისგან ხომ – თავისთავად. ისინი მათთვის საგანგებოდ შემოღებულ შეჯიბრებებზეც დადიან. ამ ზაფხულსაც ვიყავით ამერიკაში, საიდანაც ოთხი ოქრო ჩამოვიტანეთ. ბელგიაში, ევროპის თამაშებზე, ჩვენმა ბიჭმა მესამე ადგილი მოიპოვა.

– როგორც ვიცი, პარასპორტის კვირეულთან დაკავშირებითაც გქონდათ შეჯიბრება თბილისში

– ეს იყო ინტეგრირებული შეჯიბრება, რომელიც მართლაც ამ კვირეულის ფარგლებში გაიმართა. უკლებლივ ყველა საპრიზო ადგილი ჩვენი კლუბის მოსწავლეებმა მოიპოვეს.

– დედაქალაქის სხვა სკოლებში თუ მოქმედებს ანალოგიური ჯგუფები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე, ან თუნდაც ჩვეულებრივი მოზარდებისთვის?

– მაგიდის ჩოგბურთში – არა, ეს მხოლოდ 161-ე სკოლაშია, რადგან მხოლოდ მე მაქვს ევროპაში გავლილი სერტიფიცირება, პარასპორტსმენებთან მუშაობის ორი ეტაპი მაქვს გავლილი და კარგად ვიცი ამ კატეგორიის მოზარდებთან ვარჯიშის სპეციფიკა.

რაც შეეხება ჩვეულებრივ ბავშვებს, ჩვენ გარდა, დაახლოებით, კიდევ 3-4 სკოლაში მუშაობს ანალოგიური ჯგუფები.

– ინვენტარით თუ ხართ უზრუნველყოფილი, ამ კუთხით თუ გეხმარებათ ვინმე?

– ამჟამად დარბაზში ორი პროფესიონალური მაგიდა გვიდგას, რომელიც ეროვნული ფედერაციის ნაჩუქარია, სხვა დანარჩენს კი ჩვენი ძალებით ვწვდებით. ის გადასახადი, რაც შემოდის, ახალი ინვენტარის – ბურთებისა თუ ჩოგნების ყიდვაში მიდის. დარბაზში ჩვენი სახსრებით შეძენილი ოთხი მაგიდაა.

– მერია არ გეხმარებათ მაგიდების შეძენაში?

– მერია ვერ გვეხმარება, თუმცა პარასპორტის ცენტრში გვაქვს ძალიან სერიოზული ინვენტარი – 6 ისეთი მაგიდა, ევროპის ჩემპიონატისა და ნებისმიერი დონის შეჯიბრების ჩატარება რომ შეიძლება.

მერია გვეხმარება ტურნირების ჩატარებაში, ისინი აფინანსებენ. მარტში ვატარებთ ჩვენი კლუბის ტრაგიკულად დაღუპული მოზარდის ხსოვნის შეჯიბრებას, რომელიც საქართველოს ჩემპიონატზე ძლიერი გამოდის – 100 ბავშვი მონაწილეობს ხოლმე. მას მთლიანად მერია აფინანსებს. შარშან ის „არენაზე“ ჩავატარეთ, რომლის დირექტორიც მაგიდის ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტია და დარბაზი უფასოდ დაგვითმოს. წლეულს უკვე ინტეგრირებული ტურნირის გამართვა გვინდა. ალბათ, ისევ იქ ჩავატარებთ.

– რა წარმატებები აქვს კლუბს?

– საქართველოს ნაკრების წამყვანი მოთამაშეები, განსაკუთრებით გოგონებში, ჩვენი კლუბის ნევრები არიან. ყოველ წელს ჩვენი რამდენიმე მოსწავლე ქვეყნის ჩემპიონი ხდება, თუმცა ჩვენში მაგიდის ჩოგბურთი არაა იმდენად პოპულარული, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე შედეგს ვერ აღწევენ, მაგრამ საკლუბო პირველობებში ვმონაწილეობთ. ამ ზაფხულსაც მივდივართ ჰოლანდიაში ანალოგიურ ტურნირზე, ნაკრებში ჩემი 6 მოსწავლეა. იქ 10 დღე კლუბში ვივარჯიშებთ, მერე კი ტურნირზე გამოვალთ.

– წარმატებული სპორტსმენებიდან ვის დაასახელებთ?

– სკოლის ასაკის ბავშვებზე თუ ვისაუბრებთ, **ანი ფიროსმანიშვილი** საქართველოს სამგზის ჩემპიონია. მან ევროპის ჩემპიონატშიც მიიღო მონაწილეობა, საქართველოში კი ძალიან წარმატებული სპორტსმენია, ყველა ასაკში გაიმარჯვა. ასევე დავასახელებ **ელენე წიკლაურს, ლუკა თაყნიაშვილს** – თბილისის ჩემპიონს და საქართველოს პრიზიორს. პატარებში ძალიან ბევრი გვყავს წარმატებული სპორტსმენი, უფროსებიდან კი, რომლებმაც უკვე დაამთავრეს სკოლა, **გიორგი კოპლატაძე** საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონი და ერთ-ერთი უძლიერესი ჩოგბურთელი იყო, **სალომე სულაშვილს** ევროპის საკლუბოზე მეორე ადგილი აქვს მოპოვებული, ახლა მწვრთნელადაც მუშაობს. ის საქართველოს მრავალგზის ჩემპიონია და სტუდენტური ოლიმპიადაც მოიგო. ასევე მწვრთნელად მუშაობს **მარიამ გოგოჭურიც**.

ესაუბრა ირაკლი თავაძე

„ახალი განათლების“ რედაქცია გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს

გთავაზობთ 2016 წლის ხელმოწერას (წლიური ღირებულება – 68 ლარი).
ჩვენი რეკვიზიტებია:
საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი
ბ/კ BAGAGE22, ს/კ 202058735,
ა/ა GE 86 BG 0000000 123631000 GEL

გაზეთი გამოსვლას 21 იანვრიდან განაახლებს

ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.axaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >

CMYK